



## საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის

### ტერმინთა განმარტება

|                       |  |
|-----------------------|--|
| OECD                  | ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია  |
| WB                    | მსოფლიო ბანკი  |
| IFC                   | საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია  |
| EBRD                  | ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი  |
| ასოცირების შეთანხმება | ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის |
| DCFTA                 | ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება   |
| მშპ                   | მთლიანი შიდა პროდუქტი  |
| საქსტატი              | საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური   |
| GIZ                   | გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია  |
| GSP                   | პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა  |
| MFN                   | უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი   |
| ICT                   | საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები   |
| ETF                   | ევროპული განათლების ფონდი  |
| SBA                   | ევროპის მცირე ბიზნესის აქტი  |
| SWOT-ანალიზი          | ძლიერი და სუსტი მხარეების, არსებული შესაძლებლობებისა და პოტენციური საფრთხეების ანალიზი   |
| RIA                   | რეგულირების გავლენის შეფასება  |

## სარჩევი

|   |    |
|---|----|
| წინასიტყვაობა   | 4  |
| 1. ეკონომიკისა და მთავრობის პრიორიტეტების მიმოხილვა                                     | 5  |
| 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის მიმოხილვა                                      | 10 |
| 2.1 მცირე და საშუალო მეწარმეობის სამეწარმეო, სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარემო   | 10 |
| 2.2 მცირე და საშუალო საწარმოების სტატისტიკა   | 18 |
| 2.3 მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი (2016)                                  | 19 |
| 3. მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის SWOT- ანალიზი                                  | 21 |
| 4. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზანი და ამოცანები | 22 |
| 5. მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები                     | 24 |
| 6. განხორციელება და მონიტორინგი   | 42 |
| 6.1 განხორციელების ინსტიტუციონალური ჩარჩო და კოორდინაცია                                | 43 |
| 6.2 დაფინანსება   | 43 |
| 6.3 დონორების ჩართულობა და კოორდინაცია  | 43 |
| 6.4 მონიტორინგი და შეფასება   | 43 |

## წინასიტყვაობა

სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას, და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში), მცირე და საშუალო საწარმოებს მოქმედ საწარმოებში დიდი წილი უკავია, ქმნის სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტს და ყოველი სამი საშუალო ადგილიდან ორს კერძო სექტორში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და, საშუალოდ ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2/3-ს. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი წილი მშპ-ში ზოგადად საკმაოდ დაბალია - ხშირ შემთხვევაში 20%-ზე ნაკლები<sup>1</sup>.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, მათ შორის, ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების, კორუფციასთან ბრძოლისა და სხვა გზებით. ამ რეფორმების შედეგად, საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ და შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ფასდება ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლება.

ზოგადი ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და

<sup>1</sup> წყარო: ევროკომისია 2010: დიალოგი „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკაზე“ აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში (Dialogue on «SME Policy» with regard to the multilateral framework of the Eastern Partnership)

საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია.

საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას და მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას.

კერძო სექტორის განვითარების და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც ასევე ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - საქართველო 2020 (ივნისი, 2014), აგრეთვე, სამთავრობო პროგრამაში „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ (რომელიც პერიოდულად ახლდება).

საქართველოს მთავრობა საგანგებო ყურადღებას უთმობს კერძო სექტორის და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების (რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)) კონტექსტში. DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაცია და მათი შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რათა ბიზნესმა შეძლოს ექსპორტის პოტენციალის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. შესაბამისად, გარდა საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოებისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ DCFTA-ის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

წინამდებარე სტრატეგიის, რომელიც ეფუძნება ევროპული მცირე ბიზნესის აქტის „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ (Think Small First<sup>2</sup>) პრინციპს, მთავარი მიზანი არის მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, რაც შექმნის მნიშვნელოვან საფუძველს ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის. სტრატეგიაში დასახულია მიზნები, რომელთა მიღწევა უნდა მოხდეს 2020 წლისთვის.

სტრატეგიული მიმართულებები და პოლიტიკის შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც ასახულია წინამდებარე სტრატეგიაში, შემუშავებულია არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის, მცირე და საშუალო საწარმოების ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს ანალიზის, არსებული შეფასებების და რეკომენდაციების გათვალისწინებით. პოლიტიკის შესაბამისი ღონისძიებების ეფექტიანმა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს სტრატეგიაში დასახული მიზნების მიღწევა 2020 წლისთვის. სპეციფიკური ღონისძიებები გაწერილია თანდართულ სამოქმედო გეგმაში. სტრატეგიაში ასევე გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) აქტიური თანამშრომლობითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ-ის) მხარდაჭერით.

---


<sup>2</sup> ევროპული მცირე ბიზნესის აქტი „Small Business Act for Europe“ 2008

# 1. ეკონომიკისა და მთავრობის პრიორიტეტების მიმოხილვა


## 1. ეკონომიკური ტენდენციები და ინდიკატორები

**ეკონომიკური ზრდა:** ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 7%-ით იზრდებოდა. მშპ-ის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (12.3%) 2007 წელს დაფიქსირდა. საქართველოს ეკონომიკა განსაკუთრებით მდგრადი აღმოჩნდა 2008 წლის ორმაგი საგარეო შოკის მიმართ. 2008 წელს, მშპ-ის ზრდა 2.4% იყო, ხოლო 2009 წელს მშპ 3.7%-ით შემცირდა, თუმცა, სიტუაცია სწრაფად გამოსწორდა და 2010 წელს მშპ-ის ზრდამ 6.2% შეადგინა. 2011 და 2012 წლებში მშპ-ის ზრდამ შესაბამისად 7.2% და 6.4% შეადგინა. ზრდის ტემპი უმნიშვნელოდ შენედა 2013 წელს (3.4%), უმეტესად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შემცირების ხარჯზე, თუმცა, 2014 წელს, მიუხედავად ზოგადად რეგიონში და საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებული არახელსაყრელი ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველოს ეკონომიკა 4.6%-ით გაიზარდა.

2014 წელს მშპ-ში ყველაზე დიდი წილი მოდიოდა ვაჭრობაზე, მრეწველობაზე, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე. ამავე პერიოდში 5 ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი იყო მშენებლობა (13.1%), საფინანსო საქმიანობა (9.9%), უძრავი ქონება (8.1%), სასტუმროები და რესტორნები (7.3%), ვაჭრობა (5.8%) და ტრანსპორტი



**დიაგრამა 2: მშპ-ს კომპონენტები (2014)**



(5.8%).

**საგარეო ვაჭრობა:** საქართველოს საგარეო ვაჭრობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2004-2014 წლებში საგარეო სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტი და იმპორტი დაახლოებით 4.6-ჯერ გაიზარდა. 2014 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ მიაღწია 11,5 მლრდ. აშშ დოლარს, ექსპორტმა - 2,9 მლრდ. დოლარს, ხოლო იმპორტმა - 8,6 მლრდ. დოლარს. ამ პერიოდში, ტოპ-5 საექსპორტო პროდუქციას შეადგენდა მსუბუქი ავტომობილები, ფეროშენადნობები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, თხილი და ღვინოები. ტოპ-5 საიმპორტო პროდუქციას შეადგენდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები, მედიკამენტები და სატელეფონო აპარატები, ფიჭური ან სხვა უსადენო ქსელებისთვის. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთის ფედერაცია, ჩინეთი და უკრაინა. 2014 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2,993.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4.3%-ით აღემატება.

ექსპორტმა 624.1 მლნ. აშშ დოლარი (2.8%-ით მეტი), ხოლო იმპორტმა 2,369.7 მლნ. აშშ დოლარი (4.7%-ით მეტი) შეადგინა. ევროკავშირთან ვაჭრობის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 26% შეადგინა, ექსპორტმა - 22%, ხოლო იმპორტმა - 28% (2013 წელს აღნიშნული მაჩვენებლები იყო შესაბამისად 26%, 21% და 28%).

საქართველოს გააჩნია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები დამოუკიდებელ სახელმწიფო თანამეგობრობასთან (CIS) და თურქეთთან (2008 წლიდან), უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN) ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრ ქვეყნებთან, პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP) აშშ-სთან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასთან და პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP+) ევროკავშირთან (7200 დასახელების პროდუქტზე) 2005 წლიდან. ევროკავშირთან DCFTA შევიდა ძალაში 2014 წლის 1 სექტემბრიდან. 2015 წელს საქართველომ დაიწყო მოლაპარაკებები ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები:** სამეწარმეო, საინვესტიციო და ინსტიტუციონალური გარემოს გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო საქართველოში მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. 2007 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ მშპ-ს 20%-ს მიაღწია. 2006-2014 წლებში, საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუმულატიურმა მოცულობამ 9,8 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. 2014 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიან მოცულობაში უმსხვილესი წილი ეკავა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას (მთლიანი ინვესტიციების 25%), მშენებლობას (18%), გადამამუშავებელ მრეწველობას (12%), ენერგეტიკას (11%), უძრავ ქონებას (8%), სასტუმროებსა და რესტორნებს (7%) და ფინანსურ სექტორს (6%). ამავე პერიოდში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ ნიდერლანდები (მთლიანი ინვესტიციების 21.3%), აზერბაიჯანი (19.4%), ჩინეთი (12.4%), აშშ (10.3%), ლუქსემბურგი (6.2%) და გაერთიანებული სამეფო (6.1%). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 46.6% მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე, ხოლო 25.5% - დსთ-ს ქვეყნებზე.

**სამეწარმეო საქმიანობა:** 2006-2014 წლებში, ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვა 3.4-ჯერ გაიზარდა და 2014 წელს 50 მლრდ. ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, ბიზნეს სექტორის გამოშვება 3.5-ჯერ გაიზარდა და 2014 წელს 26 მლრდ. ლარს გაუტოლდა. დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 361 000-დან 592 147-მდე. 2014 წლის მონაცემებით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილი მოდის ვაჭრობაზე (23.5%), მრეწველობაზე (19.6%), მშენებლობაზე (11.4%), უძრავ ქონებაზე (10.0%), ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე (10.0%) და ჯანდაცვაზე (9.8%). საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება ამ პერიოდში 286 ლარიდან 801 ლარამდე გაიზარდა. 2006-2014 წლებში ბიზნეს სექტორის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება გაიზარდა 3,5 მლრდ. ლარიდან 12,8 მლრდ. ლარამდე, ხოლო ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში - 2,1 მლრდ. ლარიდან 3,6 მლრდ. ლარამდე. 2014 წელს, ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვის დიდი ნაწილი მოდის ვაჭრობაზე (50.5%), მრეწველობაზე (18.0%) და ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე (10.3%),



ხოლო გამოშვების - მრეწველობაზე (31.5%), ვაჭრობაზე (17.1%), მშენებლობასა (15.7%) და ტრანსპორტსა და კომუნიკაციებზე (13.8%).

## **2. მთავრობის ეკონომიკური პრიორიტეტები**

საქართველოს მომავალი განვითარების, მათ შორის, ეკონომიკური პოლიტიკის ზოგადი პრინციპები მოცემულია შემდეგ ძირითად დოკუმენტებში - „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020“ (2014 წელი) და სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ (2015 წელი). ორივე დოკუმენტში ხაზგასმულია ძლიერი კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის მნიშვნელობა.

### **საქართველო 2020**

2020 წლამდე საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები მოცემულია „საქართველო 2020“-ში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 2014 წლის ივნისში. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ხედვა აგებულია შემდეგ პრინციპებზე: სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდა, რომელიც ეფუძნება კონკურენტუნარიან კერძო სექტორს, ინკლუზიურ ზრდაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას და ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

„საქართველო 2020“-ში აგრეთვე ხაზგასმულია, რომ საქართველოს მომავალი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ეფუძნება ასოცირების შეთანხმებით და DCFTA-ით გათვალისწინებულ პოლიტიკის ღონისძიებებსა და ზომებს.

„საქართველო 2020“ ეფუძნება კერძო სექტორის თავისუფლებას ეფექტიანი, გამჭვირვალე და ოპტიმალური მთავრობის პირობებში. სტრატეგიაში განსაზღვრულია როგორც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი მთავარი ფაქტორები, ასევე, შესაბამისი ჰორიზონტალური ღონისძიებები ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდა საქართველოს მთავრობის მთავარი პრიორიტეტია, ვინაიდან იგი წარმოადგენს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის განვითარებას.

„საქართველო 2020“-ის სამი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება და შესაბამისი პოლიტიკის მიმართულებები:

### **პრიორიტეტული მიმართულება 1: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა**

**პოლიტიკის მიმართულებები:** საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება; ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების ხელშეწყობა; ექსპორტის ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის განვითარება და საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

### **პრიორიტეტული მიმართულება 2: ადამიანური კაპიტალის განვითარება**

**პოლიტიკის მიმართულებები:** შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება; სოციალური

უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა და ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა.

### **პრიორიტეტული მიმართულება 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა**

**პოლიტიკის მიმართულებები:** საინვესტიციო რესურსების მობილიზება და ფინანსური შუამავლობის განვითარების ხელშეწყობა.

„საქართველო 2020“-ის ეფექტიანი განხორციელებისთვის საკვანძო წინაპირობებს წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობა.

### **სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“**

სამთავრობო პროგრამა განსაზღვრავს მთელ რიგ პრიორიტეტებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით. უახლოეს მომავალში მისაღწევ მიზანთა შორის უმთავრესად დასახელებულია უმუშევრობის და სიღარიბის შემცირება. პროგრამაში ასევე ხაზგასმულია მეწარმეობის მხარდაჭერის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო და დამწყები მეწარმეობის (start-ups) განვითარების ხელშეწყობის (*სამეწარმეო ცოდნისა და შესაძლებლობების გაძლიერების, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის, საექსპორტო პოტენციალის გაძლიერების, ინოვაციებზე და ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესები გზით და სხვა*) აუცილებლობა.

### **სხვა შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტები**

**2010-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგია (2010):** განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს რეგიონებში მცირე და საშუალო მეწარმეობის და დამწყები ბიზნესების განვითარების მხარდაჭერას ტრენინგების, ფინანსებზე და ინოვაციებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის სხვადასხვა ინსტიტუტების, მექანიზმებისა და საშუალებების განვითარების, მათი ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით.

**2015-2020 წლების საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2015):** სტრატეგია განსაზღვრავს აგრობიზნესში მოქმედი მეწარმე-სუბიექტების, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების და დამწყები ბიზნესის მხარდაჭერას, მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების განვითარებას. სტრატეგია ასევე მოიცავს აგრობიზნესში მოქმედი საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის მხარდაჭერის, სპეციფიკური ტრენინგების, ექსპორტის მხარდაჭერის და სხვა გზებით.

**DCFTA-ის განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა (2014):** მოიცავს, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სპეციალურ ღონისძიებებს, როგორცაა DCFTA-ის ფარგლებში დაახლოებული კანონმდებლობის განხორციელებისთვის ადგილობრივი მეწარმეების მომზადება, მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერა სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით (მათ შორის: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ექსპორტის ხელშეწყობა, პროდუქტების განვითარება, კონსულტაციები და სხვა).



**პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020 წლებისთვის (2013):** მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობას, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების მიზნით და სხვა. სტრატეგიაში მოცემულია კონკრეტული ამოცანები და აქტივობები ამ მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად. სტრატეგიაში, მისი ეფექტიანი იმპლემენტაციისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალური პარტნიორების, მათ შორის, ბიზნეს-სექტორის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე, რაც მნიშვნელოვანია ბიზნესის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური რესურსის განვითარებისთვის.

## **2. მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის მიმოხილვა**

### **1 მცირე და საშუალო მეწარმეობის სამეწარმეო, სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარემო**

#### **სამეწარმეო გარემო**

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული ქვეყნის საინვესტიციო და ბიზნესგარემო - მნიშვნელოვნად არის შემცირებული ადმინისტრაციული ბარიერები და გაუმჯობესებულია სახელმწიფო სერვისები. მიუხედავად ამისა, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისთვის საჭიროა რიგი ღონისძიებების განხორციელება.

**რეფორმები, რომელთა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა ბიზნესის დაწყება და წარმოება:**

**საგადასახადო პოლიტიკა:** გადასახადების რაოდენობა და განაკვეთები მნიშვნელოვნად შემცირდა, აგრეთვე გაუმჯობესდა საგადასახადო ადმინისტრირება. საქართველოს გააჩნია ევროპაში ყველაზე ლიბერალური საგადასახადო სისტემა. ფორბსის 2009 წლის “Tax Misery and Reform Index”-ის მიხედვით საქართველო მსოფლიოში საგადასახადო ტვირთის სიმცირის მიხედვით მე-4 ქვეყანაა ყატარის, არაბთა გაერთიანებული ემირატებისა და ჰონგ-კონგის შემდეგ. ამჟამად საქართველოში მოქმედებს 6 გადასახადი, ნაცვლად 2006 წლამდე არსებული 21 გადასახადისა.

**საბაჟო პოლიტიკა:** საბაჟო სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცედურები და საგრძნობლად შემცირდა შესაბამისი ხარჯები. იმპორტის ტარიფები გაუქმდა პროდუქტების დაახლოებით 85%-ზე და ამჟამად მოქმედებს მხოლოდ 3 სატარიფო განაკვეთი (12%, 5% და 0%), ნაცვლად ადრე მოქმედი 16-სა. იმპორტის ტარიფები მოქმედებს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და რამდენიმე დასახელების ინდუსტრიულ საქონელზე. საქართველოში არ არსებობს იმპორტის და ექსპორტის რაოდენობრივი შეზღუდვები (ე.წ. კვოტები). DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდგომ, 2014 წლის 1 სექტემბრიდან, ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ხორციელდება ტარიფების გარეშე.

**ლიცენზიები და ნებართვები:** ლიცენზიების და ნებართვების სისტემის რეფორმირების შედეგად, 2005 წლიდან ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა დაახლოებით 90%-ით შემცირდა. ამჟამად, ლიცენზიები და ნებართვები გამოიყენება მხოლოდ მაღალრისკიანი პროდუქციის წარმოებისას და მომსახურების გაწევისას, ასევე, ბუნებრივი რესურსების გამოყენების და ზოგიერთი სპეციფიკური საქმიანობისთვის. მნიშვნელოვნად გამარტივდა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები, შემოღებულ იქნა „ერთი სარკმლის“ და „დუმილი თანხმობის ნიშანია“ პრინციპები. ლიცენზიების და ნებართვების მოსაკრებლების ოდენობა განსხვავებულია საქმიანობის სახეების მიხედვით.

**სახელმწიფო მმართველობა:** სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობის პროცედურები, მათ შორის, ბიზნესთან დაკავშირებული მომსახურება ხორციელდება „ერთი სარკმლის პრინციპით“. მომსახურების უმრავლესობის მიღება შესაძლებელია ელექტრონულად. ამასთან, საქართველომ შექმნა უნიკალური სისტემა - იუსტიციის სახლები - მთელი ქვეყნის მასშტაბით. იუსტიციის სახლებში ერთ სივრცეში ხდება დაახლოებით 400 დასახელების მომსახურების მიწოდება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს როგორც სასურველი მომსახურების მიღებასთან დაკავშირებულ დროსა და ხარჯებს, ისე კორუფციის რისკს.

საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ზომები მიიღო კორუფციის აღმოფხვრისთვის, მათ შორის, ეკონომიკის ლიბერალიზაცია (გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთების შემცირება, საბაჟო პროცედურების გამარტივება), სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმა, სახელმწიფო მომსახურებასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ეკონომიკის ლიბერალიზაციამ და კორუფციის მნიშვნელოვანმა შემცირებამ, ძირითადად, განაპირობა დაუკვირვებადი ეკონომიკის წილის შემცირება ქვეყნის მთლიან ეკონომიკაში (დაუკვირვებადი გამოშვების წილი მთლიან გამოშვებაში). 2004-2014 წლებში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად - 32%-დან 12.9%-მდე არის შემცირებული<sup>3</sup>).

**საერთაშორისო რეიტინგები:** მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ერთობლივი კვლევის „Doing Business 2016“<sup>4</sup> მიხედვით, საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით 189 ქვეყანას შორის 24-ე ადგილზეა. აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, „გლობალურად, ბოლო 12 წლის განმავლობაში, საქართველო ყველაზე მეტად გაუმჯობესდა ბიზნესის კეთების ანგარიშის მიხედვით შეფასებულ სფეროებში... 39 რეფორმის შედეგად, საქართველომ მიაღწია გაუმჯობესებას ათივე სფეროში, რომლებიც შედის აგრეგირებულ მაჩვენებელში... საქართველო გამორჩეული ქვეყანაა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, ვინაიდან საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა უკეთესი და უფრო ეფექტიანი ბიზნეს რეგულირების მიღწევის მიმართულებით“ (Doing Business 2016 გვერდი 14). წინა წელს, საქართველომ ორი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა: სამშენებლო ნებართვების სფეროში საქართველომ შეამცირა სამშენებლო ნებართვის მისაღებად საჭირო დრო, ხოლო კონტრაქტების აღსრულების სფეროში, გაამარტივა პროცესი სასამართლოში აპლიკაციის ელექტრონულად წარდგენის სისტემის შემოღების გზით. საქართველო კვლავ საჭიროებს გაუმჯობესებას რამდენიმე სფეროში,

როგორცაა გადახდისუნარიობის საქმის წარმოება, რომლის მიხედვით საქართველო 101-ე ადგილზეა.

3 წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური: საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2014

4 მსოფლიო ბანკი: 2016 წლის ბიზნესის კეთების ანგარიშში მსოფლიო ბანკმა შეცვალა მეთოდოლოგია - შემოდებულ იქნა რეიტინგის ახალი კალკულაცია, რომელიც ერთის მხრივ ეფუძნება საუკეთესო შედეგამდე დაშორებას, ხოლო მეორეს მხრივ გაიზარდა მოცვა და დაემატა რეგულირების ხარისხის ინდიკატორები. ჯამში დაემატა 3 ახალი ინდიკატორი, ხოლო 3 შეიცვალა. ამ ცვლილების გამო შეიცვალა საქართველოს პოზიცია 2015 წელს და თუ წინა წლის ანგარიშით 2015 წელს საქართველო იმყოფებოდა მე-15 ადგილზე, 2016 წლის განახლებული მეთოდოლოგიით საქართველო 2015 წელს 24-ე ადგილზე იყო.

**Heritage Foundation**-ის 2016 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო 178 ქვეყანას შორის 23-ე ადგილზეა და იმყოფება „უმეტესად თავისუფალი“ ქვეყნების ჯგუფში. ამავე დროს, საქართველო მე-12 ადგილს იკავებს ევროპის ქვეყნებს შორის. საქართველოს კვლავ ესაჭიროება საკუთრების უფლებების დაცვის, ფინანსური დამოუკიდებლობის (უმადლესი შეფასების მისაღწევად) და ზოგიერთი სხვა სფეროს შემდგომი გაუმჯობესება.

**Fraser Institute**-ის 2015 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო 2003 წლიდან დაწინაურდა 50 საფეხურით და ამჟამად მე-12 ადგილზე იმყოფება. საქართველოს კვლავ ესაჭიროება გაუმჯობესება მთავრობის ხარჯების, კონტრაქტების აღსრულების და სხვა სფეროებში.

საქართველომ ასევე გააუმჯობესა სუვერენული რეიტინგები, რაც მნიშვნელოვანი დადებითი სიგნალია მეწარმეებისა და ინვესტორებისთვის. სამივე საკრედიტო სარეიტინგო სააგენტომ - **Fitch-მა, Moody's-მა და Standard&Poor's-მა** გააუმჯობესა საქართველოს სუვერენული რეიტინგები. ამჟამად საქართველოს აქვს “BB-” რეიტინგი Fitch-ის მიხედვით, “BB-“ რეიტინგი Standard&Poor's-ის მიხედვით და “Ba3” რეიტინგი Moody's მიხედვით.

მიუხედავად ზოგადად, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებისა, მცირე და საშუალო მეწარმეები კვლავ აწყდებიან სირთულეებს განვითარებისა და ზრდის თვალსაზრისით, რაც დასტურდება მათი ამჟამინდელი წილით ქვეყნის ეკონომიკაში და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სხვადასხვა კვლევით (მაგ.: მსოფლიო ბანკის საწარმოების კვლევა 2013).

**სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო**

**მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება**

მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება ეფუძნება საწარმოთა ბრუნვის მოცულობას და დასაქმებულთა რაოდენობას და გამოიყენება ბიზნესის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის მომზადების მიზნით. საშუალოა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულია რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 დასაქმებულამდე და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 1,5 მლნ. ლარს. მცირეა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-მდე დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს.

**ცხრილი 1: მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება<sup>5</sup>**

| საწარმოს ტიპი | დასაქმება                   | ბრუნვა ფისკალური წლის განმავლობაში |
|---------------|-----------------------------|------------------------------------|
| მცირე         | წლიურად 20-მდე დასაქმებული  | არაუმეტეს 500,000.0 ლარისა         |
| საშუალო       | წლიურად 100-მდე დასაქმებული | არაუმეტეს 1,500,000.0 ლარისა       |

საქართველოს საგადასახადო კოდექსი (მოქმედი 2011 წლის იანვრიდან) განსაზღვრავს მცირე ბიზნესის განსხვავებულ კრიტერიუმებს და აგრეთვე, განმარტავს მიკრო ბიზნესის კრიტერიუმებს. აღნიშნული განმარტებები გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო მიზნებისთვის და შემოღებულ იქნა მცირე და მიკრო ბიზნესისთვის სპეციალური (პრეფერენციული) დაბეგვრის რეჟიმის და საგადასახადო ადმინისტრირების მიზნით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმეს (ფიზიკურ პირს), რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 ათას ლარს. ხოლო, მიკრო ბიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმეს (ფიზიკურ პირს), რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას, დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 ათას ლარს.

*ცხრილი 2: მიკრო და მცირე ბიზნესი <sup>6</sup>*

| სტატუსის ტიპი | ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში |
|---------------|---|
| მიკრო ბიზნესი | არაუმეტეს 30,000.0 ლარი                                   |
| მცირე ბიზნესი | არაუმეტეს 100,000.0 ლარი                                  |

**მიკრო და მცირე ბიზნესის დაბეგვრა**

მცირე ბიზნესი იბეგრება 3%-იანი ან 5%-იანი განაკვეთით. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5%-ით. 3%-იანი განაკვეთი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეს აქვს დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ მის მიერ გაწეული ხარჯები (დასაქმებულთათვის გადახდილი ხელფასის გარდა) შეადგენს მისი ერთობლივი შემოსავლის 60%-ს. მიკრო ბიზნესი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან და მიმდინარე გადასახდელების გადახდისგან. მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის შემოღების და შესაბამისი საგადასახადო შეღავათების დაწესების მთავარი მიზანია, ერთი მხრივ, ამგვარი ბიზნესების რეგისტრაციის ხელშეწყობა და მეორე მხრივ საგადასახადო ტვირთის შემცირება. საქართველოს შემოსავლების სამსახურის სტატისტიკის მიხედვით, ახალი საგადასახადო კოდექსის შემოღების შემდეგ დარეგისტრირდა 83 231 მიკრო და მცირე საწარმო, რომელთაგან 39 470 არის მიკრო, ხოლო 43 761 არის მცირე საწარმო.

<sup>5</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
<sup>6</sup> წყარო: საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2010)

გარდა ამისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, საწარმო, რომლის ბრუნვა კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 ათას ლარს, გათავისუფლებულია დღგ-სგან. დღგ-სგან გათავისუფლებულია სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქტების მიწოდებაც. ასევე, ფიქსირებული



გადასახადის განაკვეთით იბეგრება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული რიგი საქმიანობები.

### **გადახდისუუნარობა: მე-2 შანსი**

საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ განსაზღვრავს გაკოტრების და საწარმოთა რეაბილიტაციის პროცედურებს. მიუხედავად ამისა, დებიტორები კვლავ აწყდებიან სირთულეებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით. მსოფლიო ბანკის Doing Business 2016 ანგარიშის მიხედვით, საქართველოში საწარმოები აწყდებიან სირთულეებს ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებით, დაბალია გაკოტრების შემთხვევაში ამონაგების მაჩვენებელი (recovery rate - 39.9 ცენტი 1 აშშ დოლარზე) განსაკუთრებით OECD-ის ქვეყნებთან შედარებით (72.3 ცენტი 1 აშშ დოლარზე). თუმცა, ეს მაჩვენებელი მაღალია ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე (38.3 ცენტი 1 აშშ დოლარზე).

ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, საწარმოების ნაწილი, რომლებიც აღარ ფუნქციონირებს, ფორმალურად ვერ ახერხებს ბიზნესის დახურვას და წარმოდგენილია ბიზნეს-რეესტრში. საქმიანობის განახლების ან ახალ სფეროში გადანაცვლებისთვის უფრო მარტივია ახალი საწარმოს დაფუძნება, ვიდრე არსებული საწარმოს დახურვა. ყოველივე ზემოაღნიშნული არაზუსტს ხდის რეალურ სურათს, ვინაიდან მოქმედი საწარმოების რაოდენობა რეალურად არ ემთხვევა რეესტრში არსებული საწარმოების რაოდენობას.

### **რეგულირების გავლენის შეფასება: „უპირველესად იფიქრე მცირეზე“/მცირე და საშუალო საწარმოების ტესტი**

საქართველოში ამ ეტაპზე არ არსებობს რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ოფიციალურად ჩამოყალიბებული სისტემა. მიუხედავად ამისა, მარტივი RIA, რომლის მიზანია ბიზნესსა და სახელმწიფო სექტორზე შესაძლო რეგულირების ტვირთის, აგრეთვე, მოსალოდნელი სახელმწიფო ხარჯების შეფასება, ხორციელდება ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე.

ამჟამად, პერიოდულად ხორციელდება საჯარო მოხელეებისთვის RIA-სთან დაკავშირებით ტრენინგები. დაგეგმილია RIA-ს სისტემის დანერგვა საქართველოში, რაც ასევე განსაზღვრულია „საქართველო 2020“-ით და სამთავრობო პროგრამით „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“.

### **მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები**

#### **სახელმწიფო ინსტიტუტები**

მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის, განვითარების და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის მხარდამჭერისთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში, 2014 წლის თებერვალში შეიქმნა ორი უწყება - მეწარმეობის განვითარების სააგენტო და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.

**მეწარმეობის განვითარების სააგენტო:** წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების ერთადერთ მაკოორდინირებელ სტრუქტურას საქართველოში. სააგენტოს ძირითადი მიზნებია: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; დამწყები ბიზნესების მხარდაჭერა; თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრების მხარდაჭერა;



საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა და ა.შ. სააგენტოს მთავარი ფუნქციებია: ბიზნესის მხარდაჭერა DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში; სხვადასხვა სფეროში საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, საქსპორტო და ადგილობრივ ბაზრებზე არსებული მოთხოვნისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მეწარმეთათვის მიწოდება; მეწარმეთათვის დახმარების გაწევა ბიზნესის დაგეგმვისა და განვითარების კუთხით; მეწარმეთა დახმარება დონორებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობაში; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა სხვადასხვა სქემების გამოყენებით; საერთაშორისო ბაზრებზე მარკეტინგის პროცესში დახმარება და ა.შ.

**საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო:** წარმოადგენს ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერ ძირითად უწყებას. სააგენტოს მთავარი მიზნებია: ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის და მისი განვითარების პროცესის კოორდინაცია; ინოვაციების, თანამედროვე ტექნოლოგიების, კვლევისა და განვითარების (R&D) სტიმულირება, მათი კომერციალიზაციის და გამოყენების ხელშეწყობა; ინოვაციური დამწყები კომპანიების (start-up) ფორმირების და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა; სამეცნიერო და ბიზნეს წრეებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა; მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარების და მისი გამოყენების ეფექტურობის ამაღლების ხელშეწყობა და ა.შ. სააგენტოს ფუნქციებს შორისაა: ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა; თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერების ხელშეწყობა; ინოვაციებისა და R&D-ისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება; ცოდნაზე დაფუძნებული ინიციატივების, ინოვაციური პროექტებისა და პროდუქტების მხარდაჭერა; საწარმოებისთვის კვლევისა და განვითარების მასტიმულირებელი პროგრამების განხორციელება; ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაფარვა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით; საყოველთაო კომპიუტერიზაციის პროცესის წარმართვა და ა.შ.

მეწარმეობის განვითარებისა და ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოების ინსტიტუციური გაძლიერება მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მიზანმიმართული მომსახურების გასაწევად. გამომდინარე იქედან, რომ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი მიმართულება კომპანიებისთვის DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის ხელშეწყობაა, მნიშვნელოვანია ამ სტრუქტურის შესაძლებლობების გაძლიერება DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე.

### **მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის ბიზნეს ასოციაციები**

საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის:

- **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა:** პალატა დაფუძნებულია დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყების სახით. მისი მთავარი ფუნქციებია ბიზნესებისთვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, ბიზნეს უნარების და ბიზნესის დაგეგმვის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ექსპორტის ხელშეწყობა, საწარმოების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

და სხვა. პალატის წევრობა ნებაყოფლობითია. ამჟამად პალატას ჰყავს 1 007 წევრი, რომელთა 90% მცირე და საშუალო მეწარმეა. წევრობის გადასახადი მერყეობს 0-ლარიდან 10 000-ლარამდე და დამოკიდებულია გაწეულ მომსახურებაზე. მცირე და საშუალო საწარმოები არ იხდიან წევრობის გადასახადს. პალატას აქვს ხუთი რეგიონული ოფისი.

- **საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია:** ასოციაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს 1 000-ზე მეტ მცირე და საშუალო ბიზნესს. ასოციაცია უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურების გაწევას მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის და ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას სამეწარმეო ცოდნის, სამეწარმეო უნარების განვითარებისთვის. ასოციაციის წევრობა ფასიანია და მერყეობს 600 აშშ დოლარიდან 2 000 აშშ დოლარამდე საწარმოს ზომიდან გამომდინარე.
- **საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია:** წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერესების დაცვა და ადვოკატირება. ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს ბიზნესთან სამეწარმეო უნარების განვითარების, სხვადასხვა მიმართულებით კონსულტაციების გაწევის მიმართულებით და სხვა. ასოციაციას დღეისთვის 106 წევრი ჰყავს.

ბიზნესასოციაციებს ესაჭიროებათ შესაძლებლობების გაძლიერება ევროკავშირის პოლიტიკასთან და DCFTA-ის მოთხოვნებთან მიმართებით, რათა ხელი შეუწყონ მცირე და საშუალო მეწარმეობას ამ მოთხოვნებთან ადაპტაციაში. ამასთან, მნიშვნელოვანია როგორც ასოციაციების მიერ მეწარმეებთან ურთიერთობის გაღრმავება, ასევე, თავად ამ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, რათა მოხდეს მცირე და საშუალო მეწარმეობაზე ორიენტირებული სერვისების ეფექტიანობის გაუმჯობესება.

### **მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამები და ინიციატივები**

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების, ახალი კონკურენტული ინდუსტრიების შექმნის და ასევე, არსებულის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაიწყო სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“.

„აწარმოე საქართველოში“: პროგრამა ითვალისწინებს ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერას, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობას და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით. პროგრამას ახორციელებენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-ები - მეწარმეობის განვითარების სააგენტო, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. პროგრამის ეფექტიანი განხორციელების მიზნით შეიქმნა სპეციალური ვებგვერდი ([www.qartuli.ge](http://www.qartuli.ge)). 2015 წელს, „აწარმოე საქართველოში“ დაემატა ორი ახალი მიმართულება: ა) სასტუმროების განვითარების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ფრანჩაიზის ხარჯების დაფინანსებას და ბ) კინოინდუსტრიის ხელშეწყობა.

2015 წლიდან დაიწყო „აწარმოე საქართველოს“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულება, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობა. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულება ითვალისწინებს ორ კომპონენტს: ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას. ტექნიკური დახმარების ფარგლებში, ბენეფიციარები მიიღებენ ბიზნეს და ინდივიდუალურ საკონსულტაციო მომსახურებას და გაივლიან ტრენინგებს.

პროგრამის ეფექტიანობის ზრდის, ასევე, შესაძლო ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით გათვალისწინებულია პროგრამის შეფასება და მონიტორინგი.

### **თანამშრომლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში**

საქართველო აქტიურად მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის მცირე და საშუალო ბიზნესის პანელში და თანამშრომლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD), ევროპული განათლების ფონდთან (ETF), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის საუკეთესო საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის მიხედვით გაუმჯობესების მიზნით.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება რიგი მცირე და საშუალო მეწარმეობაზე ორიენტირებული პროექტები.

მეწარმეობის ზრდის პროგრამის (EGP) და ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების (BAS) პროგრამების (ევროკავშირის მხარდაჭერით) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება EBRD-ის მიერ, 800-ზე მეტ მცირე და საშუალო მეწარმეს გაეწია მხარდაჭერა. საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის East-Invest პროექტში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა.

2015 წელს, ხელი მოეწერა ევროკავშირის დახმარების პროექტს, რომელიც ითვალისწინებს DCFTA-ის და მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერას (ბიუჯეტი - 44.5 მილიონი ევრო). პროექტის მიზანია: ა) DCFTA-ს პოლიტიკის ჩარჩოს შემდგომი გაძლიერება და მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა; ბ) ვაჭრობასთან და კერძო სექტორთან დაკავშირებული ინსტიტუციების გაძლიერება და გ) ეკონომიკური აგენტების და მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერება DCFTA-ის პროცესების პარალელურად.

„მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში“: ევროკავშირის მიმდინარე პროექტი, რომლის ძირითადი მიზანია მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში. ამ პროგრამის ფარგლებში OECD-იმ დაიწყო პროექტი „გარემოსთვის მისაღები ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა მცირე და საშუალო საწარმოებში“, რომლის მთავარი მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის და ასევე ბიზნესებს შორის დიალოგის ხელშეწყობა „მდგრადი“ წარმოების განვითარების მიზნით.

საქართველოს მთავრობა მჭიდროდ თანამშრომლობს ბიზნესსექტორთან და დაინტერესებულ მხარეებთან კანონმდებლობის შემუშავების პროცესში. ასოცირების

შეთანხმების და DCFTA-ს ცნობადობის ასამაღლებლად იმართება რეგულარული შეხვედრები და კონფერენციები, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. შემუშავებული და დამტკიცებულია ასოცირების შეთანხმების და DCFTA-ს სამოქმედო გეგმები, რომელიც სხვა დანარჩენთან ერთად ითვალისწინებს შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების შესრულებას, საინფორმაციო კამპანიებს და სხვა.

- **მცირე და საშუალო საწარმოების სტატისტიკა<sup>7</sup>**

2014 წელს, მოქმედი საწარმოების რიცხვი 70 760-ს შეადგენდა, საიდანაც 6 170 იყო საშუალო, ხოლო 60 640 - მცირე საწარმო. შესაბამისად, მოქმედი საწარმოების 94% (9% საშუალო, 85% მცირე) მცირე და საშუალო საწარმოებს უკავია.

2006-2014 წლებში, მცირე და საშუალო საწარმოების ბრუნვა 269%-ით გაიზარდა - 2,4 მლრდ. ლარიდან 9,0 მლრდ. ლარამდე. ამავე პერიოდში, გამოშვება 269.7%-ით გაიზარდა - 1,4 მლრდ. ლარიდან 5,2 მლრდ. ლარამდე. თბილისზე მოდის ბრუნვისა (71.8%) და გამოშვების (64.6%) უმსხვილესი წილი.

---

<sup>7</sup> წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს გათვლები

2006-2014 წლებში, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების წილი საწარმოთა მთლიან დამატებულ ღირებულებაში იცვლებოდა, თუმცა არ აღემატება 20%-ს, გარდა 2011 და 2014 წლებისა, როდესაც ამ მაჩვენებელმა შეადგინა შესაბამისად 21.8% და 21.1%. დამატებული ღირებულების უდიდესი წილი (71.1%) შექმნილია თბილისში.

მცირე და საშუალო საწარმოების წილი მშპ-ში არის მცირე (2014 წელს 18%), რითაც დასტურდება, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობა ჯერ კიდევ ვერ თამაშობს მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ეკონომიკაში.

2006-2014 წლებში, დასაქმება მცირე და საშუალო საწარმოებში გაიზარდა 53.7%-ით - 168,7 ათასიდან 259,4 ათასამდე. ამავე პერიოდში, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 58%-ით 148.1 ათასიდან 233.9 ათასამდე. თუმცა, მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა წილი საწარმოებში მთლიან დასაქმებულებში არ არის მაღალი (43.8% 2014 წელს), განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მცირე და საშუალო საწარმოების წილი საწარმოთა მთლიან რაოდენობაში მაღალია (94% 2014 წელს). საწარმოებში დასაქმებულების 63% დასაქმებულია თბილისში მოქმედ საწარმოებში.






2006-2014 წლებში, საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება გაიზარდა 3,4-ჯერ 185 ლარიდან 636.9 ლარამდე, ხოლო მცირე საწარმოებში - 2,7-ჯერ 141.4 ლარიდან 375.2 ლარამდე.

ამ პერიოდში, მცირე და საშუალო საწარმოების შუალედური მოხმარება გაიზარდა 220%-ით - 767,6 მლნ. ლარიდან 2,5 მლრდ. ლარამდე, ხოლო ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში - 208%-ით - 272.4 მლნ. ლარიდან 839.5 მლნ. ლარამდე. თბილისზე მოდის ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების უმსხვილესი წილი (62%).

2007-2014 წლებში გასამშავებელია საქონლისა და მომსახურების ყიდვები (1,9 მლრდ. ლარიდან 7,1 მლრდ. ლარამდე).

ქვემოთ მოცემული დიაგრამები (3-8) ასახავს მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებს.

დიაგრამები (3-8): მცირე და საშუალო საწარმოთა სტატისტიკა



## 2 მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი (2016)


2014 წელს, მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსში, საქართველო, აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებთან ერთად (სომხეთი, აზერბაიჯანი,



ბელარუსი, მოლდოვა, უკრაინა) ევროპის მცირე ბიზნესის აქტის (SBA) საფუძველზე შეფასდა SBA-ის 10 პრინციპის მიხედვით. საქართველომ, აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს შორის, 12 კომპონენტდან 7 კომპონენტში მიიღო უმაღლესი ქულა. მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსის თანახმად, საქართველომ განახორციელა ცვლილებები სხვადასხვა მიმართულებით (მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის საინოვაციო პოლიტიკა და გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საკითხები).

- საქართველო 1-ელ ადგილზეა 12-დან 7 კომპონენტში საუკეთესო შეფასებით აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნებს შორის (ქულა 5-დან)
- **კომპონენტი 1:** სამეწარმეო სწავლება & ქალთა მეწარმეობა (ქულა 2.7)
  - **კომპონენტი 4:** მცირე და საშუალო ბიზნესის სამეწარმეო გარემო (ქულა 4.33)
  - **კომპონენტი 5ბ:** სახელმწიფო შესყიდვები (ქულა 4.04)
  - **კომპონენტი 6:** მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა (ქულა 3.76)

დიაგრამა 9: მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი 2016



**ძირითადი დასკვნები: მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი 2016**

2016 წლის მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსის შეფასების მიხედვით, 2012 წლის შეფასების შემდეგ საქართველომ, როგორც მოწინავე რეფორმატორმა ქვეყანამ აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს შორის, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გარემო მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის და მიუხედავად საგარეო შოკებისა, შეინარჩუნა მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ასევე, მიმზიდველი ბიზნეს-გარემო და გამარტივებული რეგულაციები და პროცედურები. 2012 წლის შემდგომ, საქართველომ გააფართოვა მიდგომა მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდასაჭერად და განახორციელა მიზნობრივი ღონისძიებები, მათ შორის:

- 3 შეიქმნა ორი ახალი ინსტიტუცია - მეწარმეობის განვითარების და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოები, რომელთა მიზანია მეწარმეობისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა, ინოვაციების და ექსპორტის ხელშეწყობა და სხვა;
- მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული რიგ მაჩვენებლებში, მათ შორის: ბიზნესის მხარდაჭერი ინფრასტრუქტურა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია, ინოვაციები;
- 2014 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის განუყოფელი ნაწილია DCFTA, რომელიც წარმოადგენს როგორც

შესაძლებლობას, ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში ევროპული ნორმების დანერგვას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდას და მათ ჩაბმას გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში.

**საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის გაუმჯობესების ძირითადი პრიორიტეტები**

- მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიღება 2016-2020 წლებისთვის, რომელიც იქნება საქართველოს მთავარი სტრატეგიული დოკუმენტი მცირე და საშუალო მეწარმეობის შესახებ პოლიტიკის ფორმირების და მხარდაჭერისათვის;
- მცირე და საშუალო მეწარმეთათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- სამეწარმეო სწავლების გაუმჯობესება ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად;
- ინოვაციური მეწარმეობის წასახალისებლად კონკრეტული მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება;
- ახალი ინსტრუმენტების შემუშავება ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით.

მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის იმპლემენტაცია ევროპის მცირე ბიზნესის აქტის პრინციპების შესაბამისად გათვალისწინებულია ასოცირების შეთანხმების მე-5 თავში - „სამრეწველო და სამეწარმეო პოლიტიკა და სამთომოპოვებითი მრეწველობა“. იმპლემენტაციის პროცესის მონიტორინგი განხორციელდება ევროკავშირისა და საქართველოს შორის რეგულარული დიალოგის ფარგლებში.

**• მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის SWOT- ანალიზი**

ქვემოთ მოცემული SWOT ანალიზი მოიცავს მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის ძლიერ და სუსტ მხარეებს, აგრეთვე არსებულ შესაძლებლობებსა და პოტენციურ საფრთხეებზე.

*ცხრილი 3: საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის SWOT ანალიზი*

| <b>ძლიერი მხარე</b>   | <b>სუსტი მხარე</b>   |
|---|--|
| <p>3. ხელსაყრელი ბიზნეს-გარემო</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები და განვითარებული სახელმწიფო სერვისები</li> <li>• ბიზნესის დაწყების მარტივი პროცედურები</li> <li>• მცირე და საშუალო საწარმეობისთვის საკონსულტაციო მომსახურება</li> <li>• მთავრობა კორუფციის გარეშე</li> <li>• მცირე საგადასახადო ტვირთი და შეღავათიანი საგადასახადო სისტემა მიკრო</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• სამეწარმეო უნარებისა და გამოცდილების ნაკლებობა</li> <li>• კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე</li> <li>• დაბალი პროდუქტიულობა</li> <li>• ფინანსებზე/გრძელვადიან საინვესტიციო რესურსებზე შეზღუდული წვდომა</li> <li>• ინოვაციების და კვლევისა და R&amp;D დაბალი დონე</li> <li>• კვლევისა და განვითარების ინსტიტუტებსა და კერძო სექტორის არასაკმარისი თანამშრომლობა</li> <li>• ტექნოლოგიების დანერგვის შეზღუდული</li> </ul> |

|   |  |
|---|--|
| <p>და მცირე ბიზნესებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის სიმარტივე და დაბალი ხარჯი</li> <li>• ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმები: DCFTA ევროკავშირთან; თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები დსთ-ს ქვეყნებთან და თურქეთთან, GSP აშშ-თან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარიასთან და ნორვეგიასთან</li> <li>• კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა</li> <li>• მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის ინსტიტუტები</li> <li>• მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები</li> <li>• ახალგაზრდებში ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე</li> <li>• ელ. ენერჯიაზე დაბალი ხარჯი</li> </ul>   | <p>შესაძლებლობები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადამიანური კაპიტალის არასაკმარისი კონკურენტუნარიანობა</li> <li>• უცხოური ბაზრების შესახებ ცოდნის დაბალი დონე</li> <li>• ექსპორტისა და ინტერნაციონალიზაციის შეზღუდული შესაძლებლობა</li> <li>• ახალი ტექნოლოგიების/ძირითადი საშუალებების მაღალი ხარჯი</li> <li>• მცირე და საშუალო საწარმოების საკონსულტაციო მომსახურების მაღალი ღირებულება</li> <li>• ბიზნესის დახურვის სირთულე</li> </ul>  |
| <p><b>შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფინანსებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა</li> <li>• კარგად განვითარებული ალტერნატიული დაფინანსება</li> <li>• DCFTA-ის ეფექტიანი გამოყენება - ექსპორტის დივერსიფიკაციის შესაძლებლობები</li> <li>• მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში</li> <li>• ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები DCFTA-ის მოთხოვნების შესრულების სფეროში</li> <li>• თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრ ქვეყნებთან და ჩინეთთან</li> <li>• შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემა</li> <li>• კარგად განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურა - შემცირებული ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში</li> <li>• წარმოების დივერსიფიკაცია</li> <li>• საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია</li> <li>• კარგად განვითარებული საკონსულტაციო მომსახურება</li> <li>• ინოვაციების და ტექნოლოგიების დანერგვის პოტენციალის გაძლიერება</li> <li>• თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა</li> <li>• განგრძობითი სამეწარმეო განათლების</li> </ul> | <p><b>საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შესაძლო საგარეო ეკონომიკური ფაქტორები (ფინანსური კრიზისი, საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნის შემცირება და ა.შ.)</li> <li>• ეკონომიკური ზრდის შესაძლო შენელება</li> <li>• პოლიტიკური არასტაბილურობა</li> <li>• მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორში ინვესტიციების დაბალი დონე</li> <li>• არასაკმარისი საექსპორტო შესაძლებლობები</li> <li>• საერთაშორისო კონკურენციის ფონზე მცირე და საშუალო საწარმოთა დაბალი შესაძლებლობები</li> <li>• DCFTA-ის მოთხოვნების არასაკმარისი ცოდნა და მათთან ადაპტაციის დაბალი დონე</li> <li>• ბიზნეს-საგანმანათლებლო პროგრამებში მცირე და საშუალო საწარმოების არასაკმარისი მონაწილეობა</li> <li>• საექსპორტო ბაზრებზე არსებული მოთხოვნების არასაკმარისი ცოდნა</li> </ul> |

|   |  |
|---|--|
| <p>განვითარება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ევროპულ საწარმოთა ქსელში (Enterprise Europe Network) ინტეგრაცია - სავაჭრო კავშირები ევროკავშირში არსებულ კომპანიებთან</li> <li>• მცირე და საშუალო მეწარმეობის ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერა</li> <li>• მეწარმეთა გაზრდილი მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავების პროცესში საჯარო კერძო დიალოგის სტრუქტურირებული ფორმატის შექმნის გზით</li> </ul> |  |
|---|--|

**• საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზანი და ამოცანები**

**მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზანი:** მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

*მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სტრატეგიული მიმართულებების და შესაბამისი პრიორიტეტული ღონისძიებების განსაზღვრა მოხდა არსებული მდგომარეობის და ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზის და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შემაჯერებელი ფაქტორების იდენტიფიცირების საფუძველზე.*

**მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნები (საბაზისო - 2013 წელი):**

4. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით;
1. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით;
2. 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით.

**მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი ამოცანები:**

3. ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
  - სამეწარმეო უნარების ამაღლება და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა;
  - მცირე და საშუალო საწარმოების მოდერნიზაციის და ტექნოლოგიური გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის პრიორიტეტული ღონისძიებების შესაბამისი ქმედებები ასახულია მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში 2016-2017 წლებისთვის. სამოქმედო გეგმაში ასევე განსაზღვრულია პასუხისმგებელი უწყებები, ღონისძიებების განხორციელების ვადები და დაფინანსების წყაროები.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია ეფუძნება ევროპის მცირე ბიზნესის აქტის „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ პრინციპს.



- **მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები**

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებისთვის და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

**სტრატეგიული მიმართულება 1:** საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;

**სტრატეგიული მიმართულება 2:** ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

**სტრატეგიული მიმართულება 3:** მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;

**სტრატეგიული მიმართულება 4:** ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;

**სტრატეგიული მიმართულება 5:** ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა.

**სტრატეგიული მიმართულება 1: საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება**

მიუხედავად საკანონმდებლო და ზოგადად, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებისა, მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი კვლავ აწყდება სიძნელეებს რიგ სფეროებში, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ კონკურენტუნარიანობაზე.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები გადამწყვეტ როლს თამაშობენ აღნიშნული სექტორის ზრდის და განვითარების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკვე არსებობს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები, ისინი გაძლიერებას საჭიროებენ. მიზანშეწონილია, ახლადშექმნილი მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შემდგომი გაძლიერება ბიზნესისთვის მოთხოვნაზე ორიენტირებული სერვისების განვითარებისთვის.

ბიზნეს-ასოციაციებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია მცირე და საშუალო საწარმოთა საჭიროებებზე. მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის მხარდაჭერის ინსტრუმენტების, მოთხოვნაზე ორიენტირებული სერვისების განვითარების და მათი ეფექტიანობის ზრდისთვის აუცილებელია მეწარმეთა საჭიროებების ანალიზი და მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრა. ამ ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობა და კონსულტაციები კერძო სექტორთან, ისევე როგორც ერთმანეთთან, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შედეგებზე ორიენტირებული დახმარების პროგრამების შემუშავებას.

ევროპული მცირე ბიზნესის აქტის პრინციპი - „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ ხაზს უსვამს მცირე და საშუალო მეწარმეობთან კონსულტაციების მნიშვნელობას, მათი მოთხოვნების გათვალისწინების და არაპროპორციული ტვირთის დაკისრების თავიდან აცილების მიზნით. ამ მხრივ, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ეფექტური მექანიზმი, რაც ითვალისწინებს ბიზნესის ჩართულობას პოლიტიკის შემუშავების პროცესის ადრეულ ეტაპზე. ამ ეტაპზე, საჯარო-კერძო დიალოგი ტარდება როგორც ბიზნეს-ომბუდსმენის (რომელიც წარმოადგენს მედიატორს კერძო სექტორსა და მთავრობას შორის), ასევე, სხვადასხვა



სახელმწიფო უწყების მიერ (როგორც საკანონმდებლო ცვლილებებზე, ასევე DCFTA-ის მოთხოვნებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით), თუმცა არ არსებობს მცირე და საშუალო მეწარმეებთან თანამშრომლობის ფორმალური პლატფორმა. მსგავსი პლატფორმის შექმნა მნიშვნელოვანია როგორც რეგულაციებთან დაკავშირებით მათი მოსაზრების გაზიარების და სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნეს-გარემოს ფორმირების, ასევე, პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების თვალსაზრისითაც.

მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ პოლიტიკის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია ამ სფეროს როგორც შეძლებისდაგვარად ფართო სტატისტიკის, ასევე, მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტების არსებობა, რომელიც მორგებულია და ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს და ამასთან, შესაბამისობაშია სტატისტიკის წარმოების ევროპულ კრიტერიუმებთან. მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტება, რომელიც ამჟამად გამოიყენება საქსტატის მიერ ბიზნეს სტატისტიკის შეგროვებისთვის, შემუშავებულია 2002 წელს და ითვალისწინებს საწარმოთა ბრუნვას და დასაქმებულთა რაოდენობას. ეს განმარტება შეესაბამება ევროკავშირის განმარტებას, გარდა კრიტერიუმების დადგენილი ზღვრებისა და ასევე საწარმოს ბალანსისა (რომელიც ასევე მიიღება მხედველობაში). მნიშვნელოვანია განმარტების განახლება, რომელშიც, კრიტერიუმების ზღვრები დაეფუძნება ამ ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის და შესაბამისად - კომპანიების განვითარების მაჩვენებლებს. გარდა ამისა, საგადასახადო კოდექსში გამოყენებული მცირე ბიზნესის განმარტება არ შეესაბამება სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენებულ განმარტებას. მცირე და საშუალო საწარმოთა სწორი, რეალობას მორგებული განმარტების არქონის გამო საწარმოთა სტატისტიკური მონაცემები (რომელიც ამ განმარტებას ეყრდნობა) არ ასახავს საწარმოთა ზუსტ მაჩვენებლებს და შესაბამისად, ართულებს მიზანმიმართული პოლიტიკის/ღონისძიებების როგორც შემუშავებას, ასევე მათი გავლენის შეფასებას.

ბოლო წლების მანძილზე საქსტატმა, ბიზნესის სტატისტიკის შეგროვების მიზნით, მნიშვნელოვნად გააფართოვა როგორც საწარმოთა მოცვა, ასევე, მონაცემთა რაოდენობა, მაგრამ არსებობს ინფორმაციები (მაგ. ექსპორტ/იმპორტის ციფრები საწარმოთა ზომის მიხედვით), რომლებიც ამ ეტაპზე არ გროვდება და რომელიც აუცილებელია ბიზნესის ტენდენციების, ასევე, სირთულეების იდენტიფიცირების და განვითარების მიზნობრივი ღონისძიებების შემუშავებისთვის.

ამჟამად, საქართველოში არ არსებობს რეგულირების გავლენის შეფასების ჩამოყალიბებული სისტემა (RIA). ხორციელდება მხოლოდ ახალი რეგულაციების შესაძლო ზეგავლენის (როგორც სამეწარმეო გარემოზე, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტებზე) მარტივი შეფასება. შესაბამისად, არ არსებობს სიღრმისეული ანალიზი, თუ რა გავლენა შესაძლოა მოახდინოს ახალმა რეგულირებამ ბიზნეს-სექტორზე, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებაზე. მცირე და საშუალო მეწარმეობის კონკურენტუნარიანობის ზრდის და განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით, საჭიროა როგორც ახალი საკანონმდებლო წინადადებების, ასევე, არსებული კანონმდებლობის შეფასება, ბიზნესზე რეგულირების ტვირთის და რეგულირებასთან შესაბამისობის ხარჯების იდენტიფიცირებისთვის. ევროპული მცირე ბიზნესის აქტის

„უპირველესად იფიქრე მცირეზე“ პრინციპი ასევე ითვალისწინებს RIA-ს სისტემის არსებობას სამეწარმეო გარემოს უკეთესი რეგულირების და მცირე და საშუალო მეწარმეებზე არაპროპორციული ტვირთის თავიდან აცილების/შემცირებისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება, რაც დღეისთვის კვლავ სირთულეს წარმოადგენს. საწარმოების ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ აღარ ოპერირებს, ვერ ახერხებს ბიზნესის დახურვას. შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს გადახდისუუნარობის შესახებ კანონმდებლობა, რაც ასევე იდენტიფიცირებულია მსოფლიო ბანკის Doing Business-ის ანგარიშებში, სადაც საქართველოს 2016 წელს 101-ე ადგილი უკავია.

### **საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს შემდგომი გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი პრიორიტეტულ ღონისძიებები**

#### **პრიორიტეტული ღონისძიება 1.1: ბიზნესის დახურვის და გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესება**

განხორციელდება გადახდისუუნარობის შესახებ, ასევე ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ანალიზი, რათა აღმოიფხვრას გაკოტრებასთან/რეაბილიტაციასთან და ასევე, ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებული ბარიერები, რაც საშუალებას მიცემს კომპანიებს მარტივად გადავიდნენ უფრო ეფექტიან და კონკურენტუნარიან ბიზნესში, გაუმჯობესდება გაკოტრების შემთხვევაში ამონაგების მაჩვენებელი (recovery rate), რაც საქართველოში შედარებით დაბალია Doing Business-ის შეფასების მიხედვით. ბიზნესის დახურვის პროცედურების გამარტივება ასევე ხელს შეუწყობს სამეწარმეო რეესტრის და შესაბამისად - ბიზნესის სტატისტიკის გაუმჯობესებას (სამეწარმეო რეესტრში არ იქნება აღრიცხული ის კომპანიები, რომლებიც აღარ ფუნქციონირებს). კანონმდებლობის ანალიზი და საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება მოხდება კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით.

#### **პრიორიტეტული ღონისძიება 1.2: მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტების განახლება**

საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის შესაბამისად შემუშავდება მცირე და საშუალო საწარმოთა ახალი განმარტება, რომელიც გაითვალისწინებს საქართველოში არსებული როგორც ეკონომიკური, ასევე კომპანიების განვითარების დონეს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესებას და შესაბამისად - მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის მიზნით ეფექტიანი პოლიტიკის და ღონისძიებების შემუშავებას.

#### **პრიორიტეტული ღონისძიება 1.3: საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესება**

საერთაშორისო და ევროპული გამოცდილების შესწავლის საფუძველზე გაფართოვდება ბიზნესის სტატისტიკური მაჩვენებლების არეალი უფრო დეტალური ინფორმაციის მოგროვების/დამუშავების თვალსაზრისით, რაც შესაძლებელს გახდის უფრო ზუსტად იქნეს იდენტიფიცირებული ბიზნესის განვითარების ამსახველი ტენდენციები, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია მხარდაჭერის საჭიროებებზე ორიენტირებული და ეფექტიანი პოლიტიკის/ღონისძიებების შემუშავებისთვის.

#### **პრიორიტეტული ღონისძიება 1.4: მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება**

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება ხელს შეუწყობს ამ სექტორის შემდგომ განვითარებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. იმისათვის, რომ გაძლიერდეს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები, მოხდება მათი ფუნქციონირების ანალიზი (ინსტიტუციონალური მიმოხილვა) და განისაზღვრება მათი შემდგომი გაძლიერებისთვის საჭირო ქმედებები. ხელი შეეწყობა ბიზნეს-ასოციაციების და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობას როგორც კერძო სექტორთან, ასევე თავად ამ ორგანიზაციებს შორის, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მცირე და საშუალო კომპანიების მოთხოვნაზე ორიენტირებული სერვისების/პროდუქტების განვითარებას.

### **პრიორიტეტული ღონისძიება 1.5: საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერება**

საჯარო და კერძო სექტორს, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმომადგენელთა შორის დიალოგის და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ინსტიტუციურ დონეზე შეიქმნება პლატფორმა, რომელიც საფუძველს ჩაუყრის რეგულარული და სტრუქტურირებული დიალოგის წარმოებას. ეს დაეხმარება მთავრობას, შეიმუშაოს ეფექტური პოლიტიკა კერძო სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისთვის. დიალოგის მექანიზმი ხელს შეუწყობს კერძო სექტორსა და მთავრობას შორის ნდობის გაზრდას და პროგნოზირებადი გარემოს ჩამოყალიბებას.

### **პრიორიტეტული ღონისძიება 1.6: პრიორიტეტული ეკონომიკური კანონმდებლობისთვის რეგულირების გავლენის შეფასების სისტემის (RIA) შექმნა**

RIA-ს სისტემის შექმნა და გამოყენება დაეხმარება მთავრობას შეაფასოს როგორც ახალი, ასევე არსებული რეგულირების გავლენა როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორზე, ასევე, ის „ტვირთი“ და შესაბამისობის ხარჯები, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს ან გამოწვეულია რეგულირებიდან. RIA-ს სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოებზე არაპროპორციული ტვირთის დაკისრების თავიდან აცილებას და ასევე, იმ რეგულაციების გაუქმებას/შეცვლას, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება მცირე და საშუალო საწარმოებს. RIA-ს სისტემის დანერგვა განხორციელდება საერთაშორისო ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

### **სტრატეგიული მიმართულება 2: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება**

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების და ზრდისთვის. „Global Competitiveness Index 2015-2016“-ის მიხედვით, ბიზნესის წარმოების მეორე ყველაზე დიდი პრობლემა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობაა. გამოკვლეული საწარმოების 13.6% ბიზნესის წარმოების მთავარ დაბრკოლებად სწორედ ფინანსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას ასახელებს. მსოფლიო ბანკის 2013 წლის საწარმოთა კვლევაში ფინანსებზე ხელმისაწვდომობა 10-დან მეორე მთავარ პრობლემად არის მიჩნეული. მსოფლიო ბანკის შეფასებით, კომერციული ბანკების სესხების პორტფელში მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა (24,4%), რაც ვერ პასუხობს საჭიროებებს ქვეყნის ზრდის და განვითარებისათვის<sup>8</sup>.

როგორც კომერციული ბანკების, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალია მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. მიუხედავად ბოლო 10 წლის განმავლობაში (2005-2015) კომერციული ბანკებში გრძელვადიან სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებისა 20%-დან 15.7%-მდე - ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე და 15.6%-დან 10.6%-მდე - უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე, ის კვლავ მაღალია მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. გარდა ამისა, მცირე და საშუალო მეწარმეობას ხშირ შემთხვევაში არ აქვს შესაძლებლობა დააკმაყოფილოს სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები (რომელიც რიგ შემთხვევაში გასაცემი სესხის 100%-ს აღემატება).

გარდა ამისა, მცირე და საშუალო მეწარმეებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა კაპიტალის ზრდის ინსტრუმენტებსა (fund rising) და ალტერნატიული დაფინანსების წყაროებზე (მათ შორის, კერძო და ვენჩურული კაპიტალის ფონდებზე). შესაბამისად, მნიშვნელოვანია როგორც დაფინანსების ალტერნატიული წყაროების განვითარების ხელშეწყობა, ასევე, მეწარმეთა ცნობიერების და კაპიტალის ზრდის და ალტერნატიული წყაროებიდან ფინანსების მოზიდვასთან დაკავშირებით.

საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საკმაოდ კარგად არის განვითარებული. 2015 წლის მონაცემებით, საქართველოში ოპერირებს 72 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელთაც ქვეყნის მასშტაბით 393 ფილიალი/სერვისცენტრი აქვთ, სადაც დასაქმებულია 4 899 ადამიანი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ყველაზე მეტად აქტიურნი არიან მცირე და საშუალო მეწარმეობის დაფინანსებაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს კომუნიკაციის ნაკლებობა კერძო სექტორთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია არსებული პრობლემების გამოვლენის და შესაბამისი ქმედებების განხორციელებისთვის.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ (2012)), მცირე და საშუალო საწარმოებს ამ ეტაპზე არ აქვთ ვალდებულება ანგარიშგება აწარმოონ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) მიხედვით. ამავე დროს, ასოცირების შეთანხმებით, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება ქვეყნის კანონმდებლობა დაახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას ბუღალტრული აღრიცხვის სფეროშიც. ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაზრდის კომპანიების ანგარიშგების გამჭვირვალობას და ასევე, მათ შესაძლებლობებს, უფრო მარტივად შეიძინონ ბიზნეს-პარტნიორები და მოიზიდონ დამატებითი ფინანსური რესურსი. მცირე და საშუალო მეწარმეთა შესაძლებლობები, აწარმოონ ფინანსური ანგარიშგება IFRS for SMEs-ის მიხედვით შეზღუდულია, რაც აფერხებს დამატებითი კაპიტალის მოზიდვას და შესაბამისად - კომპანიების ზრდას და განვითარებას.

---

8 წყარო: მსოფლიო ბანკი: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კვლევა, 2014

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“) მეწარმეებს არ აქვთ ხელმისაწვდომობა გრანტებზე, ვინაიდან კომპანიები

(მათ შორის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ინდ. მეწარმე და ა.შ.) არ შეიძლება იყვნენ გრანტის ბენეფიციარები, რაც ქმნის დაბრკოლებას ალტერნატიული დაფინანსების ხელმისაწვდომობის კუთხით. აღნიშნული შეზღუდვა ასევე პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს ან/და დონორი ორგანიზაციების საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის თვალსაზრისით და ზღუდავს კომპანიებში ინოვაციების და კვლევისა და განვითარების (R&D) შესაძლებლობებს.

**ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი პრიორიტეტული ღონისძიებები**

**პრიორიტეტული ღონისძიება 2.1: ფინანსური განათლების გაუმჯობესება**

ფინანსური განათლების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება შესაბამისი საჭიროებების იდენტიფიკაცია, რის საფუძველზეც შემუშავდება საგანმანათლებლო პროგრამები ტრენინგისთვის. ფინანსური განათლების ამაღლება ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო კომპანიების შესაძლებლობების ზრდას, უკეთესად დაგეგმონ ბიზნესი, მოიზიდონ და ეფექტიანად გამოიყენონ ფინანსური რესურსები. ფინანსური განათლების გაუმჯობესება ასევე შეუწყობს ხელს მეწარმეთა მიერ ფინანსურ ბაზარზე არსებული მოთხოვნების, პროდუქტებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმირებულობის ზრდას და შესაბამისად - ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას კომპანიის განვითარებისთვის.

**პრიორიტეტული ქმედება 2.2: მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობა**

**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) დანერგვაში** IFRS for SMEs -ისთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება მცირე და საშუალო მეწარმეებს ხელს შეუწყობს ამ სტანდარტების გამოყენებას ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც თავის მხრივ, განაპირობებს კომპანიების ანგარიშგების გამჭვირვალობას და შესაბამისად, გააუმჯობესებს საინვესტიციო კაპიტალსა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას. ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალება ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბიზნეს-პარტნიორების მოძიების თვალსაზრისით. IFRS for SMEs დანერგვის ხელშეწყობისთვის უზრუნველყოფილი იქნება ცნობიერების ამაღლება მიზნობრივი ჯგუფებისთვის ამ სტანდარტების გამოყენების სარგებელთან დაკავშირებით, ასევე, შემუშავდება ტრენინგ-მოდულები და ჩატარდება მიზნობრივი ტრენინგები მცირე და საშუალო კომპანიებისთვის.

**პრიორიტეტული ქმედება 2.3: მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნის ამაღლება ფინანსების გაზრდის (fund raising) საკითხებში**

მცირე და საშუალო მეწარმეობის ზრდისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მეწარმეების ცოდნის ამაღლება **fund raising**-ის მიმართულებით, ვინაიდან მათი ცოდნა, თუ როგორ და საიდან (გარდა ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა) არის შესაძლებელი დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა, შეზღუდულია. განხორციელდება ღონისძიებები რომელიც ხელს შეუწყობს ცოდნის გაზრდას, თუ როგორ და საიდან მოიზიდონ ფინანსური რესურსები. უზრუნველყოფილი იქნება მეწარმეთა განათლება იმ ალტერნატიულ წყაროებთან/ფონდებთან თუ პროგრამებთან დაკავშირებით, საიდანაც შესაძლებელია ფინანსური რესურსის მოზიდვა. ამასთან, განხორციელდება ღონისძიებები მცირე და



საშუალო კომპანიების ალტერნატიული წყაროებთან/ფონდებთან და დაკავშირების და მიზნობრივ პროგრამებში მონაწილეობის მიღების წახალისების მიზნით.

**პრიორიტეტული ქმედება 2.4: მცირე და საშუალო მეწარმეობის და დამწყები ბიზნესის დაფინანსებაზე ორიენტირებული კერძო საინვესტიციო და ვენჩურული კაპიტალის ფონდების მოზიდვა**

მცირე და საშუალო კომპანიების დაფინანსებაზე ორიენტირებული კერძო საინვესტიციო ფონდების მოზიდვა საქართველოში ხელს შეუწყობს დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებზე ხელმისაწვდომობას და შესაბამისად - ამ კომპანიების ზრდას, განვითარებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ხოლო ვენჩურული კაპიტალის ფონდების მოზიდვა კი - დამწყები ბიზნესის განვითარებას. ამავე დროს, მცირე და საშუალო მეწარმეობის მზადყოფნა საინვესტიციო ფონდებთან თანამშრომლობისთვის, ისევე როგორც დამწყები ბიზნესის მზადყოფნა ვენჩურული კაპიტალის ფონდებთან თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ამ ფონდებიდან ფინანსური რესურსების მოზიდვისთვის. ამ მიზნით, განხორციელდება ღონისძიებები როგორც ზემოაღნიშნული ფონდების საქართველოში მოზიდვის, ასევე, იმ კომპანიების იდენტიფიცირებისთვის, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი პოტენციალი. ხელი შეეწყობა კომპანიების შესაძლებლობების განვითარებას და ინვესტირებისთვის მზაობის ამაღლებას.

**პრიორიტეტული ქმედება 2.5: მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან დაფინანსების ზრდისთვის**

მცირე და საშუალო საწარმოთათვის კომერციული ბანკებიდან დაფინანსებაზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით გაუმჯობესდება და გაფართოვდება სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მიმართულება. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან დაფინანსების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ხელი შეეწყობა კერძო სექტორს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის სადისკუსიო მრგვალი მაგიდების ორგანიზებას, როლის მიზანია დაფინანსების თუ ფინანსური ცნობიერების კუთხით არსებული დაბრკოლებების და საჭიროებების იდენტიფიცირება. აღნიშნული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს პროდუქტისა და მომსახურების გაუმჯობესებას მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მხრიდან, ისევე, როგორც გააუმჯობესებს მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობებს უკეთ დააკმაყოფილონ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოთხოვნები.

**პრიორიტეტული ქმედება 2.6: მცირე და საშუალო საწარმოთა გრანტებით დაფინანსების გაუმჯობესება**

გრანტების მეშვეობით მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების გაუმჯობესების მიზნით, გადაიხედება საქართველოს გრანტებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები. შედეგად, გაუმჯობესდება საკანონმდებლო ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოებში ფინანსების მოზიდვას R&D-სთვის და ინოვაციებს. ასევე, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო განხორციელებს ინოვაციური იდეების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამებს.

### სტრატეგიული მიმართულება 3: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

კონკურენტული ადამიანური კაპიტალის განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანია ზოგადად, მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის და მოიცავს პროფესიული განათლების და გადამზადების სისტემის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის ფორმირებას. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს პროფესიული განათლებისა და გადამზადების რეფორმა, სამუშაო ძალის შეუსაბამობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ჯერ კიდევ გამოწვევას წარმოადგენს.

სამუშაო ძალის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან არასაკმარისი შესაბამისობა, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს დასაქმების ტენდენციაზე. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის შემცირებული ბოლო წლების განმავლობაში (2009-2014 წლებში 16.9%-დან 12.4%-მდე), ის კვლავ მაღალია და კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს.

კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის განვითარება „საქართველო 2020“-ის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდის თვალსაზრისით.

მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის სიმწირე დაბრკოლებაა განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოთა ზრდისა და განვითარებისათვის, ვინაიდან მათი რესურსები მცირეა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შედეგზე ორიენტირებული მიდგომა, რათა ხელი შეეწყოს მაღალკვალიფიციური ადამიანების დასაქმებას მცირე და საშუალო კომპანიებში. ამ მიზნით, საჭიროა შრომის ბაზრის მოთხოვნების იდენტიფიცირება შესაბამისი უნარების განვითარების პროგრამების შესამუშავებლად.

სამეწარმეო განათლება, როგორც ერთ-ერთი ძირითადი კომპეტენციის დანერგვა განათლების ყველა ეტაპზე, უმნიშვნელოვანესია როგორც კერძო სექტორის განვითარებისთვის, ასევე თვითდასაქმებისთვის. ამ ეტაპზე, საქართველოს განათლების სისტემაში სრულად არ არის დანერგილი სამეწარმეო განათლება საუკეთესო ევროპული და საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად. ასევე არ არის დანერგილი უწყვეტი სამეწარმეო სწავლება (Lifelong Entrepreneurial Learning), რაც გულისხმობს სამეწარმეო განათლებას განათლების ყველა საფეხურზე. საჭიროება, შემუშავდეს სასწავლო პროგრამები განათლების ყველა დონეზე, რომელიც მოიცავს სამეწარმეო სწავლების კომპონენტებს.

იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის განვითარებას, შემუშავდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „შრომის ბაზრის ფორმირების სტრატეგია“ და შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2015-2018 წლებისთვის (აგვისტო, 2013), რომელიც მოიცავს არაფორმალური განათლების საკითხებს, შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების სისტემის განვითარების მხარდაჭერას, შრომის ბაზრის კვლევების ინსტიტუციონალიზაციას და ინფორმაციული ბაზის შექმნა/განვითარებას, პროფესიული და სამეწარმეო უნარების განვითარებას და სხვა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტროში შექმნილია სტრუქტურული ერთეული, რომელიც კოორდინაციას უწევს სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას. ამასთან, შეიქმნა სპეციალური პორტალი (<http://worknet.gov.ge>), სადაც ხდება როგორც სამუშაოს მაძიებლების, ასევე, დამსაქმებელთა მიერ ვაკანსიების რეგისტრაცია. დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, გათვალისწინებულია შესაბამისი გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

მცირე და საშუალო მეწარმეობის ზრდისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის ასევე მნიშვნელოვანია თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობა და სამეწარმეო უნარების გაუმჯობესება.

სამეწარმეო უნარების ნაკლებობა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ხელისშემშლელი ფაქტორია, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია საბჭოთა მემკვიდრეობით. მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომ სამეწარმეო უნარები გაუმჯობესებულია, ის კვლავ გამოწვევას წარმოადგენს განსაკუთრებით მცირე და საშუალო კომპანიებისთვის. ბიზნესის დაგეგმვის და განვითარების, მარკეტინგის და სხვა იმ უნარების ცოდნის დონე, რაც აუცილებელია წარმატებული საქმიანობისთვის - დაბალია.

ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია ქალთა მეწარმეობის გაძლიერება და ხელშეწყობა. ქალები ნაკლებად არიან ჩართულები სამეწარმეო საქმიანობაში, ვიდრე მამაკაცები, ასე რომ, მნიშვნელოვანია მოხდეს კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება ქალ მეწარმეთა სტიმულირების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ქალების მონაწილეობის ზრდას ეკონომიკურ საქმიანობაში.

**მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი პრიორიტეტული ღონისძიებები**

**პრიორიტეტი ქმედება 3.1: შრომის ბაზრის საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასაქმების პროგრამების განვითარება**

შრომის ბაზრის ფორმირების სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდება ერთის მხრივ, მცირე და საშუალო კომპანიების ადამიანური რესურსის მოთხოვნის საჭიროებების, ხოლო მეორეს მხრივ, სამუშაოს მაძიებელთა უნარების შეფასება/კვლევა. შეფასებების/კვლევის შედეგების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება შესაბამისი გადამზადების პროგრამები სამუშაოს მაძიებელთათვის, რათა მაქსიმალურად იქნეს მიღწეული შრომის ბაზრის მოთხოვნის და მიწოდების თანხვედრა და შესაბამისად - დასაქმება.

**პრიორიტეტული ქმედება 3.2: მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება (Training Needs Assessment - TNA)**

იმისათვის, ხელი შეეწყოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას, მნიშვნელოვანია განხორციელდეს ტრენინგების საჭიროებათა შეფასება (TNA), რათა განსაზღვროს მეწარმეების მოთხოვნები და უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი ტრენინგები. აქედან გამომდინარე, მეწარმეობის განვითარების სააგენტო საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, შეიმუშავებს TNA-ის კონცეფციას და შესაბამის მექანიზმებს, მათ შორის კითხვარებს, რომელთა პილოტირება განხორციელდება მინიმუმ 3 პრიორიტეტულ სექტორში.

TNA-ის შედეგების ანალიზის შედეგად მოხდება მიწოდებული სერვისების გაუმჯობესება. ამასთან, განხორციელდება მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შესაძლებლობათა გაძლიერება, რათა TNA პერიოდულად განხორციელდეს სხვადასხვა პრიორიტეტული სექტორისთვის.

### **პრიორიტეტული ქმედება 3.3: უწყვეტი სამეწარმეო სწავლების დანერგვა განათლების სისტემის ყველა დონეზე**

იმისთვის რომ, უწყვეტი სამეწარმეო სწავლება დაინერგოს განათლების სისტემის ყველა დონეზე შეიქმნება სპეციალური, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც მჭიდროდ ითანამშრომლებს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მათ შორის, ETF-თან). განათლებაში უწყვეტი სამეწარმეო სწავლების დანერგვისთვის ნაკლოვანებების და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარდება კვლევა. გაანალიზდება საერთაშორისო გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა საქართველოსთვის შესაბამისი მოდელის შემუშავების მიზნით. უწყვეტი სამეწარმეო სწავლების განათლების სისტემის ყველა დონეზე დანერგვის მიზნით შემუშავდება სამოქმედო გეგმა.

### **პრიორიტეტული ქმედება 3.4: მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება**

ეფექტიანი და კერძო სექტორის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიული განათლების ფორმირების ყველა დონეზე.

პარტნიორობა მაკრო დონეზე გულისხმობს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიული განათლების ფორმირების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ ჩართულობის მექანიზმი იყოს ფორმალური (ეროვნული პროფესიული საბჭო, თემატური სამუშაო ჯგუფები) და სისტემატური. ჩართულობის ეფექტური მექანიზმი უზრუნველყოფს კერძო სექტორის ინტერესების გათვალისწინებას პროფესიული განათლების პოლიტიკის ფორმირების ყველა დონეზე.

მეზო დონეზე პარტნიორობა და ჩართულობა გულისხმობს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ კვალიფიკაციათა შემუშავების პროცესში, რაც ასევე მნიშვნელოვანია მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაციების განვითარების და შესაბამისად, დასაქმების თვალსაზრისით.

პარტნიორობა მიკრო/ინსტიტუციონალურ დონე გულისხმობს კერძო სექტორის საგანმანათლებლო დაწესებულებებში პირდაპირ ჩართულობას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ე.წ. „პარტნიორობა ცოდნისთვის“ (Knowledge Partnership) განვითარება, საგანმანათლებლო დაწესებულებების პირდაპირ პარტნიორობას როგორც კერძო სექტორთან, ასევე სხვადასხვა საჯარო თუ სამეცნიერო ინსტიტუტებთან. Knowledge Partnership-ის განვითარების მიზნით შეიქმნება შესაბამისი პლატფორმა მცირე და საშუალო მეწარმეთა ჩართულობით.

შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების განვითარების მიზნით, ხელი შეეწყობა სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას (work-based learning), პროფესიულ სასწავლებლებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და ასევე, პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების მიერ ბიზნესის წამოწყებას.

### **პრიორიტეტული ქმედება 3.5: არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა**

დასაქმების და ადამიანური რესურსის უწყვეტი კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება. ეფექტიანი თანამშრომლობა მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების ხარისხის გაუმჯობესების, ნდობის ამაღლების და ასევე, არაფორმალური განათლების აღიარებისთვის.

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავდება შესაბამისი წესები და მექანიზმები. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების სისტემის დაფუძნების მიზნით შემუშავდება და განხორციელდება პილოტური პროგრამები.

### **პრიორიტეტული ქმედება 3.6: მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა**

მცირე და საშუალო საწარმოებს, მათი საქმიანობების შესაბამისად გაეწევათ ტექნიკური დახმარება სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში. მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ, მეწარმეებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდება და განხორციელდება ტრენინგ-პროგრამები. ექსპორტის შესაძლებლობების განვითარების მიზნით, საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით განხორციელდება ექსპორტის მენეჯერების გადამზადების კურსები. ასევე, თანამედროვე, შედეგზე ორიენტირებული და წარმატებული ბიზნეს-პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, პოპულარიზაცია გაეწევა EFQM წარმატების მოდელის (EFQM Excellence Model) დანერგვას მცირე და საშუალო საწარმოებში.

### **პრიორიტეტული ქმედება 3.7: საგანმანათლებლო კომპონენტის განვითარება მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ვებგვერდზე**

საგანმანათლებლო მასალების ნაკლებობა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა თანამედროვე მეწარმეობის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატებული განვითარებისთვის. ასევე, არ არსებობს საგანმანათლებლო მასალებზე ონლაინ ხელმისაწვდომობა. ამ მიზნით, მეწარმეობის განვითარების სააგენტო განავითარებს ვებგვერდს, სადაც განთავსდება სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და ბიზნესლიტერატურა და რაც საშუალებას მისცემს მეწარმეებს სახლიდან გაუსვლელად ჰქონდეთ წვდომა თანამედროვე ცოდნაზე.

### **პრიორიტეტული ქმედება 3.8: მეწარმეების მომსახურების ცენტრის მომსახურებების პორტფელის გაფართოება**

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მეწარმეების მომსახურების ცენტრში დაინერგება ე.წ. ღია სივრცის პრინციპი, სადაც მეწარმეებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ როგორც კომპიუტერული მომსახურებით და ინტერნეტსერვისით, ასევე გაეცნონ თანამედროვე ბიზნესლიტერატურას და ანალიტიკურ მასალებს. მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის უზრუნველყოფილ იქნება ლექციები, სემინარები და სამუშაო შეხვედრები, რაც ასევე მნიშვნელოვანია პირდაპირი კონტაქტების დამყარების თვალსაზრისითაც.

### **პრიორიტეტული ქმედება 3.9: ქალთა მეწარმეობის წახალისება**



ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის და ბიზნეს საქმიანობაში ქალების ჩართულობის მიზნით, განხორციელდება ნაკლოვანებათა შეფასება და საჭიროებათა ანალიზი. ანალიზის შედეგების გათვალისწინებით შემუშავდება შესაბამისი ღონისძიებები ქალთა მეწარმეობის მხარდასაჭერად. ასევე, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით და მონაწილეობით ჩამოყალიბდება პლატფორმა, რომლის მიზანი იქნება დიალოგი და ქალთა მეწარმეობაში ჩართულობის გააქტიურების ხელშეწყობა. ხელი შეეწყობა ქალთა მონაწილეობას სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, მათ შორის, პროგრამის „წარმოე საქართველოში“ რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების კომპონენტში და ინოვაციების ხელშეწყობის პროექტებში.

### **პრიორიტეტული ქმედება 3.10: მცირე და საშუალო საწარმოებში „მწვანე პრაქტიკის“ წახალისება**

მცირე და საშუალო საწარმოებში „მწვანე პრაქტიკის“ წახალისების მიზნით მნიშვნელოვანია მათი ცნობიერების ამაღლება რესურსეფექტურ (resource efficiency) და სუფთა წარმოებასთან (clean production) დაკავშირებით, ასევე, გარემოსათვის მისაღებ ქმედებებთან (environmental performance) დაკავშირებით. ამ მიზნით, შემუშავდება შესაბამისი ტრენინგ-პროგრამა მეწარმეთათვის და უზრუნველყოფილ იქნება კონსულტაციები. ხელი შეეწყობა გარემოსდაცვითი მმართველის (მენეჯერის) კურსების განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია საწარმოთა მიერ გარემოსთვის მისაღები პრაქტიკასა და მენეჯმენტზე ცოდნის ამაღლებისთვის.

### **სტრატეგიული მიმართულება 4: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია**

მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის უმნიშვნელოვანესია ექსპორტის ხელშეწყობა. იმ სარგებლის მაქსიმიზაციისთვის, რომელსაც DCFTA პოტენციურად სთავაზობს მეწარმეებს, მნიშვნელოვანია როგორც მათი ცნობიერების ამაღლება DCFTA-ის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ასევე, ამ მოთხოვნების ადაპტაციაში ხელშეწყობა.

საქართველო 2020-ში ხაზგაზღვრულია მთავრობის განსაკუთრებული როლი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და ისეთი პროდუქტისა და მომსახურების წარმოების ხელშეწყობაში, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება როგორც ადგილობრივ, ასევე ევროპულ და საერთაშორისო ბაზრებზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რიგი რეგულაციები ვრცელდება პროდუქტის როგორც ევროკავშირის, ასევე საქართველოს ბაზარზე განთავსებაზეც, რაც კიდევ უფრო ზრდის DCFTA-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად კომპანიების შესაძლებლობების გაძლიერების მნიშვნელობას.

DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაცია დღეისთვის გამოწვევას წარმოადგენს განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, ვინაიდან მოითხოვს არა მხოლოდ საექსპორტო ბაზარზე მოთხოვნების ცოდნას, არამედ დამატებით ფინანსურ რესურსებს წარმოების ამ მოთხოვნების შესაბამისად განვითარებისთვის.

კონკრეტულ სფეროებში DCFTA-ის მოთხოვნებთან ცნობიერების ამაღლების მიზნით პერმანენტულად იმართება ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრები როგორც კერძო სექტორთან, ასევე, დაინტერესებულ მხარეებთან. შემუშავებულია DCFTA-ის

სამოქმედო გეგმა 2014-2017 წლებისთვის და ასევე, მუშავდება უფრო დეტალური ყოველწლიური გეგმები, რომლებიც, სხვა მიმართულებებთან ერთად მოიცავს მცირე და საშუალო მეწარმეობის ცნობიერების ამაღლებას DCFTA-ის მოთხოვნებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ცოდნის დონე არასაკმარისია და მოითხოვს შემდგომ გაღრმავებას.

მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნა მცირეა საექსპორტო ბაზრების მოთხოვნებთან დაკავშირებით, როგორც პროდუქტსა და მომსახურებაზე მოთხოვნის, ასევე მათთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მოთხოვნებზე, რაც თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ექსპორტის პოტენციალის განვითარებაზე. ამასთან, აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება, კვლევების ჩატარება, ან საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა დაკავშირებულია დამატებით როგორც კვალიფიციურ ადამიანურ რესურსთან, ასევე - ფინანსებთან, რისი შესაძლებლობაც მცირე და საშუალო მეწარმეობაში შეზღუდულია.

ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის (სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია, შესაბამისობის შეფასება) განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანია ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების აღმოსაფხვრელად. საქართველო წარმატებით აგრძელებს ხარისხის ინფრასტრუქტურის რეფორმას საუკეთესო ევროპული პრაქტიკის და DCFTA-ით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სექტორის ცოდნა ხარისხის ინფრასტრუქტურის მნიშვნელობასა და იმ სარგებელზე, რაც კარგად განვითარებულმა ხარისხის ინფრასტრუქტურამ და საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების გამოყენებამ შეიძლება მოიტანოს საერთაშორისო ვაჭრობაში - არადადამაკმაყოფილებელია.

ექსპორტის პოტენციალის ზრდის, ისევე როგორც ინტერნაციონალიზაციის კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი არის მარკეტინგის, განსაკუთრებით საერთაშორისო ბაზრებზე ორიენტირებული მარკეტინგის არასაკმარისი ცოდნა და ასევე, მარკეტინგისთვის საჭირო ფინანსური რესურსების არქონა. აქედან გამომდინარე, ექსპორტირებული პროდუქციის უმრავლესობა წარმოებულია მსხვილი კომპანიების მიერ. გარდა ამისა, მცირე და საშუალო კომპანიებს არ გააჩნიათ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში ჩართვისთვის.

მცირე და საშუალო კომპანიებს არ გააჩნიათ საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობისთვის საჭირო ფინანსური რესურსი, რაც მნიშვნელოვანია როგორც საერთაშორისო პარტნიორებთან კონტაქტების დამყარების და ინვესტორთა მოზიდვის თვალსაზრისით, ასევე მათ მიერ წარმოებული პროდუქტისა თუ მომსახურების პოპულარიზაციისთვის.

2015 წელს, მეწარმეობის განვითარების და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოები გახდნენ ევროპული საწარმოთა ქსელის (EEN - Enterprise Europe Network) პარტნიორები, რომელიც აერთიანებს 600-მდე ევროპულ და საერთაშორისო ორგანიზაციას, მათ შორის, სავაჭრო-სამრეწველო პალატებს, ტექნოლოგიურ ცენტრებს, განვითარების ორგანიზაციებს. EEN-ში მონაწილეობა ხელს შეუწყობს კონტაქტების დამყარებას ადგილობრივ და ევროპულ კომპანიებს შორის, ასევე ტექნოლოგიურ ტრანსფერს და კომპანიების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

როგორც მულტინაციონალური და საერთაშორისო კომპანიები, ასევე ქვეყანაში მოქმედი საერთაშორისო კომპანიები, ხშირ შემთხვევაში, რიგი პროდუქტების და მომსახურებების შესყიდვას სწორედ მცირე და საშუალო კომპანიებიდან, მათ შორის, ადგილობრივი კომპანიებიდან ახორციელებენ. ამავე დროს, მცირე და საშუალო მეწარმეებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ ინფორმაცია მსგავს მოთხოვნებთან დაკავშირებით, არც შესაბამისი უნარები და არც ცოდნა იმ თანამედროვე ბიზნეს-პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომელიც აუცილებელია კომერციული ურთიერთობების დამყარებისთვის.

მცირე და საშუალო კომპანიების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზა საქართველოში მოქმედ საერთაშორისო კომპანიებთან კავშირის დამყარებაა. მსხვილი საერთაშორისო კომპანიები, ხშირ შემთხვევაში, პროდუქტისა და მომსახურების იმპორტის ნაცვლად პრიორიტეტს ანიჭებენ პროდუქტისა და მომსახურების შესყიდვას ადგილობრივი კომპანიებისგან. ამჟამად არ არსებობს სტრუქტურირებული მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი მცირე და საშუალო კომპანიების დაკავშირებას საქართველოში მოქმედ მსხვილ ინვესტორებთან. მცირე და საშუალო საწარმოთა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოთა შორის კავშირების დამყარება (FDI-SMEs linkages), თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათ გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში ჩაბმას.

საერთაშორისო კომპანიები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პარტნორ კომპანიებში პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქცევის (Responsible Business Conduct - RBC) პრინციპებს, რაც გულისხმობს გარემოს მიმართ პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დანერგვას, თანამედროვე სამეწარმეო ურთიერთობების განვითარებას და სხვა, რაც სტიმულს აძლევს კერძო სექტორს, მეტი კონტრიბუცია შეიტანოს ეკონომიკის მდგრად და ინკლუზიურ განვითარებაში. საქართველოში RBC-სთან დაკავშირებით ცოდნა მწირია. ასევე მწირია ცოდნა, რა სარგებელი შეუძლია მოუტანოს კერძო სექტორს RBC-ს პრინციპების განხორციელებამ საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორების და ინვესტორების მოძიების კუთხით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ცოდნის ამაღლება RBC-სთან დაკავშირებით და ამ პრინციპების დანერგვის პოპულარიზაცია. RBC-ს დანერგვის ხელშეწყობა და OECD-ს გაიდლაინების პოპულარიზაცია წამოადგენს ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთ მიმართულებას (AA, მუხლი 352).

**ექსპორტის ხელშეწყობის და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაციის მიზნით განსახორციელებელი პრიორიტეტული ღონისძიებები:**

**პრიორიტეტული ქმედება 4.1: DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება**

კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლება DCFTA-ის პერსპექტივებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განვითარების სამომავლო გეგმის დასახვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, კერძო სექტორს დროულად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმ რეფორმებთან და რეგულაციებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ შეთანხმებით არის გათვალისწინებული და რომლებიც, გარდა ინსტიტუციური განვითარებისა,

მოითხოვს კომპანიების ამ რეგულირებასთან შესაბამისობას. ამ მიზნით, განხორციელდება ღონისძიებები, როგორც მცირე და საშუალო კომპანიების, ასევე, ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლების და შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით, რაც მნიშვნელოვანია საკონსულტაციო მომსახურების განვითარებისთვის. რეგულარულად მოეწყობა მრგვალი მაგიდები, შეხვედრები და თემატური კონფერენციები. ასევე განხორციელდება მეწარმეებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხარისხის ინფრასტრუქტურასთან (მეტროლოგია, სტანდარტიზაცია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება) დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვანია ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირებისთვის.

#### **პრიორიტეტული ქმედება 4.2: მეწარმეობის მხარდაჭერა DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციაში**

DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაცია, გარდა ადამიანური რესურსის განვითარებისა, მოითხოვს დამატებით ფინანსურ რესურსებს. კომპანიების მხარდაჭერის მიზნით შემუშავდება მხარდაჭერის სქემები (მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტები), რომლებიც ორიენტირებული იქნება ევროპული ნორმების და მოთხოვნების დანერგვაზე, რეგულირებით გამოწვეული შესაძლო ტვირთის შემსუბუქებაზე და შესაბამისად, მცირე და საშუალო კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

#### **პრიორიტეტული ქმედება 4.3: მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირება**

გამომდინარე იქედან, რომ საექსპორტო ბაზრების კვლევა საკმაოდ ძვირადღირებულია, უმეტეს შემთხვევაში, მცირე და საშუალო მეწარმეებს მასზე ხელი არ მიუწვდებათ. საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება კერძო სექტორს შესაძლებლობას მისცემს მოახდინოს წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების დივერსიფიცირება და ასევე, გაზარდოს ექსპორტის შესაძლებლობები. ამ მიზნით, რეგულარულად ჩატარდება პრიორიტეტული საექსპორტო ბაზრების კვლევა, მათ შორის, კონკრეტული პროდუქტების მიხედვით, რომლის შედეგები ხელმისაწვდომი იქნება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. ონლაინ პორტალის [www.tradewithgeorgia.com](http://www.tradewithgeorgia.com) (შემუშავებული მეწარმეობის განვითარების სააგენტოს და GIZ-ის თანამშრომლობით) მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება ხელმისაწვდომობა მუდმივად განახლებად ინფორმაციაზე როგორც საექსპორტო კომპანიების და მათ მიერ წარმოებული პროდუქტის შესახებ, ასევე, შესაძლებელი იქნება პარტნიორებს შორის პირდაპირი კონტაქტების დამყარება. პორტალზე განთავსდება ანალიტიკური ინფორმაცია პრიორიტეტული საექსპორტო ბაზრების მოთხოვნებთან, მათ შორის, ტექნიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

„Euromonitor“-თან თანამშრომლობით შესაძლებელი იქნება 10 ქვეყანის 28 ეკონომიკურ სექტორზე ანალიტიკური ინფორმაციაზე წვდომა (მათ შორის, ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, სტატისტიკა და პროგნოზები). „Euromonitor“-თან თანამშრომლობა გაგრძელდება მომავალშიც.

ექსპორტის სტიმულირების მიზნით შემუშავდება შესაბამისი ინსტრუმენტები მცირე და საშუალო საწარმოთა მარკეტინგის გაუმჯობესების და მხარდაჭერისთვის, ასევე პროდუქტების და სერვისების საერთაშორისო ბაზრებზე პოპულარიზაციისთვის.

#### **პრიორიტეტული ქმედება 4.4: მეწარმეობის მხარდაჭერა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში**

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში კომპანიებს დაეხმარება გაზარდონ ექსპორტი, მოახდინონ საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიცირება, მოიზიდონ დამატებითი ინვესტიციები, დაანერგონ თანამედროვე სამეწარმეო კულტურა და შესაბამისად, გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანები. ამ მიზნით, შემუშავდება შესაბამისი სერვისები. მეწარმეობის განვითარების სააგენტო ხელსშეუწყობს ადგილობრივი კომპანიების მონაწილეობას საერთაშორისო სავაჭრო გამოფენებში (trade fairs). ასევე, ხელი შეეწყობა საერთაშორისო სავაჭრო გამოფენების ორგანიზებას საქართველოში.

მეწარმეობის განვითარების და ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოების ჩართულობით უზრუნველყოფილ იქნება ევროპულ საწარმოთა ქსელის (EEN), ეფექტური ფუნქციონირება, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ და ევროპულ კომპანიებს შორის კავშირების დამყარებას.

#### **პრიორიტეტული ქმედება 4.5: ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) პოპულარიზაცია**

ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) პრინციპებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანია როგორც კომპანიების მდგრადი განვითარებისთვის, ასევე უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით. ამ მიზნით მნიშვნელოვანია OECD-თან თანამშრომლობა, რომელსაც შემუშავებული აქვს კომპანიებში RBC-ს დანერგვის გაიდლაინები. კერძო სექტორში RBC-სთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების და მისი პოპულარიზაციის მიზნით, მოხდება იმ ორგანიზაციების იდენტიფიცირება, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ RBC-სთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების და პოპულარიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებში. შემუშავდება და განხორციელდება კერძო სექტორში RBC-ს პოპულარიზაციის მექანიზმი.

#### **პრიორიტეტული ქმედება 4.6: უცხოელ ინვესტორებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კავშირების დამყარების მხარდაჭერა (FDI-SMEs linkages)**

უცხოელ ინვესტორებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კავშირების დამყარების მხარდაჭერა ხელს შეუწყობს მათ ჩართვას ღირებულებათა ჯაჭვში, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოთა ზრდის, განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის. შემუშავდება ეფექტური მექანიზმები და დამხმარე ინსტრუმენტები, რათა მოხდეს კავშირების დამყარება და ასევე, საწარმოთა შესაძლებლობების განვითარება, დააკმაყოფილონ ინვესტორის ან მსხვილი კომპანიების მხრიდან არსებული მოთხოვნების.

ამ მიზნით, ხელი შეეწყობა ბიზნესის ბიზნესთან (B2B) შეხვედრების ორგანიზებას. შეიქმნება საწარმოთა ბაზა, რომელიც მოიცავს კომპანიების პროფილებს და რომელიც იქნება განახლებადი. ჩატარდება პოტენციური მსხვილი ინვესტორების / კომპანიების კვლევა მათი ადგილობრივ მეწარმეებთან კავშირების დამყარების ხელშეწყობის მიზნით. პერსპექტიული კავშირების გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნება დამატებითი მხარდაჭერა მცირე და საშუალო კომპანიებისთვის, თუ



იარსებებს მისი საჭიროება ინვესტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

### სტრატეგიული მიმართულება 5: ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა

ინოვაციებისა და კვლევა-განვითარების ხელშეწყობა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კომპანიების კონკურენტუნარიანობის და პროდუქტიულობის ამაღლებისთვის. კომპანიების, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოებთა მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება არის დაბალი, რისი ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ტექნოლოგიების განვითარების არასაკმარისი დონე და ინოვაციების ნაკლებობაა.

როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები ინოვაციებზე და კვლევასა და განვითარებაზე (R&D) არასაკმარისია იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კომპანიების ზრდა და განვითარება გლობალური კონკურენციის გათვალისწინებით. INSEAD-ის გლობალური ინოვაციების ინდექსში (GII) 2015 წელს საქართველოს, 141 ქვეყანას შორის 73-ე ადგილი უკავია 33.83 (100-დან) ქულით. ბიზნესის ტექნოლოგიურობის დონის (Business Sophistication) კომპონენტში საქართველო 105-ე ადგილს იკავებს 28.0 ქულით.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში (GCI) 2015-2016 საქართველო 66-ე ადგილს იკავებს 144 ქვეყანას შორის (27 ადგილით არის გაუმჯობესებული პოზიცია 2010-2011 წლის 93-ე ადგილიდან). იმ ინდიკატორებში რომლებიც ზომავს ტექნოლოგიების და ინოვაციების დონეს ქვეყანაში, საქართველოს პოზიციები არასახარბიელოა, მათ შორის:

1. ინოვაციების შესაძლებლობა – 121 ადგილი;
  - კომპანიის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე – 127 ადგილი;
  - უახლეს ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა – 97 ადგილი;
  - ფირმის დონეზე ტექნოლოგიების გამოყენება – 103 ადგილი

ინოვაციების ნაკლებობა, როგორც კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ხელისშემშლელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორის ხაზგასმულია საქართველო 2020-ში.

ვინაიდან მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური რესურსები შეზღუდულია, მათ არ აქვთ შესაძლებლობა განახორციელონ ინვესტიციები ინოვაციებში, კვლევასა და განვითარებასა და ასევე, ახალ ტექნოლოგიებში. ამასთან, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები (technology absorbtion) არის ძალიან დაბალი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ინოვაციების განვითარებას და ასევე, გააუმჯობესებს ხელმისაწვდომობას თანამედროვე ტექნოლოგიებზე.

ინოვაციებისა და R&D-სთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს start-up-ების და მცირე და საშუალო კომპანიების განვითარებას - არასაკმარისია. ასევე დაბალია ინოვაციების კომერციალიზაციის და იდეების პროდუქტად გარდაქმნის მაჩვენებელი. გარდა ამისა, დღეისთვის, მთელი ქვეყნის ტერიტორია არ არის დაფარული მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ახორციელებს პროგრამებს, რომლებიც ძირითადად მიმართულია მცირე და საშუალო მეწარმეობის და start-up-ის მხარდაჭერისკენ როგორც ინოვაციების, ასევე R&D-ს განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია სააგენტოს შესაძლებლობების განვითარება და ინსტიტუციურ გაძლიერება, ასევე მოთხოვნაზე ორიენტირებული პროდუქტების და სერვისების შემდგომი განვითარება.

**ინოვაციების და კვლევისა და განვითარების ხელშეწყობისთვის განსახორციელებელი პრიორიტეტული ქმედებები:**

**პრიორიტეტული ქმედება 5.1: მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება**

იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ინოვაციებსა და R&D-ს განვითარებას მცირე და საშუალო საწარმოებში, აუცილებელია გაიზარდოს ცნობადობა ინოვაციური მეწარმეობის მნიშვნელობაზე. მიზანმიმართული და ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავების მიზნით განხორციელდება მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციური უნარების და ინოვაციების განვითარების ანალიზი. ინოვაციური მეწარმეობის უნარების და R&D-ს წახალისებისთვის განხორციელდება როგორც საინფორმაციო კამპანია, ასევე, ჩატარდება ტრენინგები. შემუშავდება ინოვაციების და გამოგონებების წამახალისებელი ინსტრუმენტები.

**პრიორიტეტული ქმედება 5.2: ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება**

ინოვაციები ხშირ შემთხვევაში რისკიან ბიზნესად განიხილება და ამიტომაც ფინანსებზე ხელმისაწვდომობის დონე დაბალია. ფინანსური ინსტიტუტები უმეტეს შემთხვევაში არ აფინანსებენ ინოვაციებს. არც კომპანიების მიერ ინოვაციებსა და R&D-ზე გაწეული ხარჯებია საკმარისი. ძირითადად ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების შესყიდვა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან (რაც ასევე მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური ტრანსფერისთვის). აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხარდაჭერა. ინოვაციების, R&D და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება/დანერგვის მხარდაჭერის მიზნით შემუშავდება დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმები, მათ შორის, მცირე და საშუალო კომპანიების გრანტებით დაფინანსებისთვის. ხელი შეეწყობა გამოყენებითი კვლევების დაფინანსებას სხვადასხვა, მათ შორის, ალტერნატიული დაფინანსების წყაროებიდან (მაგ: business angels) და საგრანტო პროგრამების საშუალებით.

**პრიორიტეტული ქმედება 5.3: ინოვაციების და R&D-ის კომერციალიზაციის მხარდაჭერა**

ინოვაციების და R&D-ს კომერციალიზაციის ნაკლებობა (გამოყენებითი კვლევების ჩათვლით) ხელს უშლის მათ გამოყენებას ეკონომიკაში. კვლევითი ინსტიტუტები, ზოგადად, არ არიან ფოკუსირებულნი კომერციალიზაციაზე. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია გამოყენებითი კვლევების პოპულარიზაცია სამეცნიერო წრეში, ასევე, მეცნიერთა ცნობადობის ამაღლება გამოგონებების კომერციალიზაციასთან დაკავშირებით. ამასთან, მნიშვნელოვანია ქართული პროდუქტების - ადგილობრივი კომპანიების ინოვაციებისა და გამოგონებების გამოყენების პოპულარიზაცია და ხელშეწყობა. ინოვაციების და R&D-ის კომერციალიზაციის, ასევე გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება რიგი ღონისძიებები, მათ შორის,

გამოყენებითი კვლევების და R&D-ის შესაძლებლობების და პოტენციალის ანალიზი ქვეყნის მასშტაბით. ასევე, შემუშავებულ იქნება მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს სამეცნიერო და სამეწარმეო სექტორს შორის კავშირების გაღრმავებას. გარდა ამისა, გამოყენებითი კვლევების კომერციალიზაციის ხელშეწყობა განხორციელდება ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის (Technology transfer Centre) საშუალებით.

**პრიორიტეტული ქმედება 5.4: მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარების გაუმჯობესება**

ICT-ის უნარების გაუმჯობესება მნიშვნელოვანი ფაქტორია მცირე და საშუალო საწარმოებში როგორც ინოვაციების განვითარების, ასევე მათი ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე რთულია კონკურენტუნარიანობის ამაღლება ან მისი შენარჩუნება. გარდა ამისა, იდეის პროდუქტად გარდაქმნა, ინერნაციონალიზაცია, ინვესტიციების მოზიდვა და თანამშრომლობა უცხოელ პარტნიორებთან მოითხოვს თანამედროვე, ინოვაციურ მიდგომებს სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა, მათ შორის, მენეჯმენტის და მარკეტინგის მიმართულებებით. ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო, მცირე და საშუალო მეწარმეთა უმრავლესობას, უმეტესად რეგიონებში, არ შეუძლიათ მოიზიდონ მაღალკვალიფიციური კადრები, ან განავითარონ არსებულთა უნარები. აქედან გამომდინარე, თანამედროვე მიდგომების და საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით განხორციელდება მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგები როგორც იდეის პროდუქტად გარდაქმნის, ასევე, ინვესტორებთან ურთიერთობების დამყარების და ბიზნესის მენეჯმენტთან დაკავშირებით. განხორციელდება ტრენერთა გადამზადების პროგრამა (ToT -Training of Trainers) ექსპორტზე ორიენტირებული ICT უნარების გაუმჯობესებისთვის

**პრიორიტეტული ქმედება 5.5: ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება (FabLabs; iLabs; TechPark; BroadBand; კომპიუტერიზაცია)**

მცირე და საშუალო საწარმოებსა და start-up-ებში ინოვაციების და R&D-ის სტიმულირების და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა. აქედან გამომდინარე, ხელი შეეწყობა საჭირო ინფრასტრუქტურის, მათ შორის, ტექნოლოგიური პარკის, სამრეწველო და ინოვაციური ლაბორატორიების შექმნას და განვითარებას, რომლებიც აღჭურვილ იქნებიან ინოვაციების და R&D-ის განვითარებისთვის საჭირო მოწყობილობებით, ასევე, უზრუნველყოფილ იქნება ინოვაციური მეწარმეების და start-up-ების ტრენინგები. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს როგორც ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას, ასევე, იდეების პროდუქტად გარდაქმნას. ხელი შეეწყობა ოლიმპიადების, ჰაკათონების (hack-a-thon) და მეიკეტონების (make-a-thon) ჩატარებას. განხორციელდება საქართველოს იმ რეგიონების მაღალსიჩქარიანი

ზემოთ მოცემულია ძირითადი ღონისძიებები, რომელიც განხორციელდება 2016-2020 წლამდე პერიოდში. დეტალური ღონისძიებები, პასუხისმგებელი მხარეების განხორციელების ვადების და დაფინანსების წყაროების მითითებით გაწერილია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სამოქმედო გეგმაში 2016-2017 წლებისთვის .

ინტერნეტ-ინფრასტრუქტურით დაფარვა, სადაც დღეის მდგომარეობით ეს ინფრასტრუქტურა არ არსებობს, რაც ასევე ხელს შეუწყობს ინოვაციების და ICT-ის გამოყენებას.

### **განხორციელება და მონიტორინგი**

მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიით დასახული მიზნების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია სტრატეგიით და შესაბამისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების კოორდინაცია და შესრულების მონიტორინგი. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ეფექტიანი იმპლემენტაციისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესში კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა როგორც ტექნიკური ასევე ფინანსური მხარდაჭერის თვალსაზრისით.

- **განხორციელების ინსტიტუციონალური ჩარჩო და კოორდინაცია**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო კოორდინაციას გაუწევს სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელებას და უზრუნველყოფს ამ პროცესში ყველა შესაბამისი პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყების ჩართულობას.

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ხელისუფლების თანამშრომლობა კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან, რაც გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გარანტი იქნება. შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება ამ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა.

### **3 დაფინანსება**

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით, ასევე, ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების ასიგნებების ფარგლებში.

4 სახელმწიფო ბიუჯეტი: არის დაფინანსების ძირითადი წყარო. საბიუჯეტო პროცესში ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი, ისევე, როგორც საქართველოს შესაბამისი სამინისტროების და საქართველოს მთავრობას დაქვემდებარებული შესაბამისი უწყებების მიერ მომზადებული სტრატეგიის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები უნდა შეესაბამებოდეს სტრატეგიით განსაზღვრული პოლიტიკის პრიორიტეტებს.

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ჩართულობა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა მჭიდროდ და აქტიურად ითანამშრომლებს საერთაშორისო თანამეგობრობასთან, რათა რესურსების მობილიზაცია, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებებისთვის განხორციელდეს ეფექტურად.

- **დონორების ჩართულობა და კოორდინაცია**

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელებისათვის, საქართველოს მთავრობა მჭიდროდ ითანამშრომლებს საერთაშორისო დონორ და საფინანსო ინსტიტუტებთან როგორც რესურსების მობილიზების, ასევე ტექნიკური მხარდაჭერის მიღების მიმართულებით.

## 5 მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგს განახორციელებს მაღალი დონის საკოორდინაციო ჯგუფი (შექმნილი მინისტრის მოადგილეების/სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელთა დონეზე), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ხელმძღვანელობით.

საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრები გაიმართება წელიწადში ორჯერ. დამატებითი შეხვედრა შესაძლებელია გაიმართოს საკოორდინაციო ან სამუშაო ჯგუფის წევრ(ებ)ის მოთხოვნის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში.

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების ექვსთვიანი და წლიური ანგარიშები მომზადდება სამუშაო ჯგუფების მიერ, რომლებიც განხილული იქნება საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრებზე და შემდგომ წარედგინება საქართველოს მთავრობას.

მონიტორინგის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მიზნით, საჯარო-კერძო დიალოგი გაიმართება ექვს თვეში ერთხელ.

### დანართი 2: მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისთვის

| პრიორიტეტული ღონისძიება  | ქმედება  | პასუხისმგებელი უწყება  | განხორციელების ვადები                              | დაფინანსების წყარო             | კომენტარი                       |
|--|--|--|--|--------------------------------|---------------------------------|
| <b>სტრატეგიული მიმართულება 1: სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება</b> |  |  |  |                                |                                 |
| 1.1. ბიზნესის დახურვის და გადახდისუნარიანობის პროცედურების გაუმჯობესება                          | 1. არსებული კანონმდებლობის ანალიზი (მეწარმეთა და გადახდისუნარიანობის შესახებ კანონმდებლობა)<br><br>2. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან<br><br>3. კანონპროექტ(ებ)ის შემუშავება სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესებისთვის | კოორდინატორი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br><br>პარტნიორები: ფინანსთა სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო | I კვ. 2016<br><br>I-III კვ 2016<br><br>IV კვ. 2016 | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას |



|      |  |  |   |  |                                |                                 |
|------|--|--|---|--|--------------------------------|---------------------------------|
| 1.2. | მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტების განახლება                 | <p>1. მცირე და საშუალო საწარმოთა არსებული განმარტების ანალიზი და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა</p> <p>2. რეკომენდაციის შემუშავება მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტების განახლებისთვის</p> <p>3. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები</p> <p>4. მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტების და შესაბამისი საკანონმდებლო აქტის/ დამატების შემუშავება (საჭიროების შემთხვევაში)</p> | <p>შემსრულებელი: საქსტატი</p> <p>პარტნიორები: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; მეწარმეობის განვითარების სააგენტო</p>  | <p>I-II კვ. 2016</p> <p>II-III კვ. 2016</p> <p>III კვ. 2016</p> <p>IV კვ. 2016</p>                                 | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას |
| 1.3. | საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესება                               | <p>2. 1.3.1. საწარმოთა სტატისტიკის არსებული არეალის და მეთოდოლოგიის გადახედვა და საერთაშორისო/ევროპული გამოცდილების შესწავლა</p> <p>1. 1.3.2. საწარმოთა სტატისტიკის არეალის გაფართოებისთვის რეკომენდაციების შემუშავება და განხილვა</p> <p>2. 1.3.3. საწარმოთა სტატისტიკის არეალის გაფართოება და პერიოდული სტატისტიკის გამოქვეყნება</p>   | <p>შემსრულებელი: საქსტატი</p> <p>პარტნიორები: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; მეწარმეობის განვითარების სააგენტო</p>  | <p>II-III კვ. 2016</p> <p>III-IV კვ. 2016</p> <p>I კვ. 2017 - IV კვ. 2017</p> <p>პერიოდულად</p>                    | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას |
| 1.4. | მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება | <p>1.4.1. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების საქმიანობის ანალიზი</p> <p>1.4.2. მცირე და საშუალო საწარმოთა საჭიროებების ანალიზი</p> <p>1.4.3. საერთაშორისო გამოცდილების და პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი</p> <p>1.4.4. საჭიროებების იდენტიფიცირება მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების</p>   | <p>შემსრულებელი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p> <p>პარტნიორები: მეწარმეობის განვითარების სააგენტო; საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო; საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა</p> | <p>II კვ. 2016</p> <p>II-III კვ. 2016</p> <p>III-IV კვ. 2016</p> <p>IV კვ 2016 - I კვ. 2017</p> <p>II კვ. 2017</p> | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების დახმარებას  |

|      |  |   |  |  |   |                               |
|------|--|---|--|--|---|-------------------------------|
|      |  | <p>ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით და დაინტერესებულ მხარეებთან განხილვა</p> <p>1.4.5. მცირე და საშუალო მეწარმეობის საჭიროებებზე მორგებული სერვისების დანერგვა</p> <p>1.4.6. მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდამჭერი ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შეხვედრების ორგანიზება</p> |  | II კვ. 2016 - პერიოდულად   |   |                               |
| 1.5. | საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერება  | <p>1.5.1. საკონსულტაციო საბჭოს შექმნა საჯარო და კერძო სექტორს, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმომადგენელთა მონაწილეობით</p> <p>1.5.2. რეგულარული შეხვედრების ორგანიზება</p>   | შემსრულებელი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო                           | I კვ. 2016 პერიოდულად  | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი |                               |
| 1.6  | პრიორიტეტული ეკონომიკური კანონმდებლობისთვის რეგულირების გავლენის შეფასების RIA-ს სისტემის შექმნა | <p>1.6.1. RIA-ს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი</p> <p>1.6.2. კანონმდებლობის იდენტიფიცირება, რომლებზეც RIA გავრცელდება</p> <p>1.6.3. RIA-ს ინსტიტუციური მექანიზმის შემუშავება</p> <p>1.6.4. RIA-ს იმპლემენტაციის მიზნით საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება</p>                                  | <p>შემსრულებელი: საქართველოს მთავრობა</p> <p>პარტნიორები: შესაბამისი სამინისტროები</p> | <p>III-IV კვ. 2016</p> <p>I კვ. 2017</p> <p>II-III კვ. 2017</p> <p>IV კვ. 2017</p> | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები                          | საჭიროებს დონორთა მხარდაჭერას |

**სტრატეგიული მიმართულება 2: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება**

|      |  |  |  |  |                                |   |
|------|--|--|--|--|--------------------------------|---|
| 2.1. | ფინანსური განათლებების გაუმჯობესება  | <p>2.1.1. ფინანსური განათლების კუთხით არსებული საჭიროებების იდენტიფიცირება</p> <p>2.1.2. საგანმანათლებლო მოდულების შემუშავება მეწარმეებისთვის</p> <p>2.1.3. სამიზნე ჯგუფის შერჩევის მიზნით კრიტერიუმების შემუშავება</p> <p>2.1.4. საინფორმაციო მასალების შემუშავება ფინანსურ განათლებაზე</p> <p>2.1.5. მეწარმეთა ტრენინგების ორგანიზება</p> <p>ფინანსურ განათლებაში ტრენინგებისთვის მოდულების განვითარება</p> <p>2.1.1. ქმედების შესაბამისად</p> | <p>შემსრულებელი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო</p> <p>პარტნიორები: ეროვნული ბანკი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო</p> | <p>II კვ. 2016</p> <p>III კვ. 2016</p> <p>III-IV კვ. 2016</p> <p>I კვ. 2017</p> <p>IV კვ. 2016 - IV კვ. 2017</p> <p>პერიოდულად</p> | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას საჭიროებს ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაციების ჩართულობას |
| 2.2. | მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) დანერგვაში | <p>1. IFRS for SME-ის ტრენინგის მოდულის მომზადება</p> <p>2. სამიზნე ჯგუფის იდენტიფიცირება ტრენინგებისთვის</p> <p>2.2.3. ტრენინგების ჩატარება 2.2.2 ქმედების შესაბამისად შერჩეული სამიზნე ჯგუფ(ებ)ისთვის</p>  | <p>შემსრულებელი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო</p> <p>პარტნიორი: ფინანსთა სამინისტრო</p>   | <p>I კვ. 2017</p> <p>II კვ. 2017</p> <p>IV კვ. 2017</p>  | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას საჭიროებს ბუღალტერთა ასოციაციების ჩართულობას                                |
| 2.3. | მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნის ამაღლება ფინანსების გაზრდის (fund raising) საკითხებში                          | <p>2.3.1. მცირე და საშუალო კომპანიების მიერ დაფინანსების ალტერნატიული წყაროების გამოყენების შეფასება (ალტერნატიული ფონდები, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, დონორთა პროგრამები)</p> <p>2. 2.3.1. ქმედების შედეგებზე დაყრდნობით ტრენინგის მოდულების შემუშავება</p> <p>3. სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირება</p> <p>4. ტრენინგების ჩატარება</p>   | <p>შემსრულებელი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო</p> <p>პარტნიორი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>  | <p>III კვ. 2016</p> <p>IV კვ. 2016</p> <p>IV კვ. 2016 – I კვ. 2017</p> <p>II - IV კვ. 2017</p>                                     | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას   |

|      |  |   |   |   |                                       |   |
|------|--|---|---|---|---------------------------------------|---|
| 2.4. | <p>მცირე და საშუალო მეწარმეობის დაამწყები ბიზნესის (start-up) დაფინანსებაზე ორიენტირებული კერძო საინვესტიციო და ვენჩურული კაპიტალის ფონდების მოზიდვა</p> | <p>5. მცირე და საშუალო მეწარმეობის დაფინანსებაზე ორიენტირებული კერძო საინვესტიციო ფონდების და start-up-ების დაფინანსებაზე ორიენტირებული ვენჩურული კაპიტალის ფონდების იდენტიფიცირება</p> <p>6. მცირე და საშუალო კომპანიების იდენტიფიცირება, რომელთაც გააჩნიათ კერძო საინვესტიციო ფონდებიდან ფინანსური რესურსის მოზიდვის პოტენციალი</p> <p>7. start-up-ების იდენტიფიცირება, რომელთაც გააჩნიათ ვენჩურული ფონდებიდან ფინანსების მოზიდვის პოტენციალი</p> | <p>შემსრულებელი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო</p> <p>პარტნიორი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>   | <p>II-III კვ. 2017</p> <p>III-IV კვ. 2017</p> <p>III-IV კვ. 2017</p>                            | <p>შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები</p> | <p>საჭიროებს დონორების მხარდაჭერას</p>  |
| 2.5. | <p>მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან დაფინანსების ზრდისთვის</p>                           | <p>1. სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მიმართულების შემდგომი გაუმჯობესება</p> <p>2. მცირე და საშუალო საწარმოებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირება დისკუსიაში მონაწილეობისთვის</p> <p>3. მხარეებს შორის მრგვალი მაგიდების/დისკუსიების ორგანიზება მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებაში არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირებისთვის, მათი შემდგომი შემცირების მიზნით</p> | <p>შემსრულებელი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო</p> <p>პარტნიორი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>   | <p>I-II კვ. 2016</p> <p>II-III კვ. 2016</p> <p>IV კვ. 2016 - IV კვ. 2017 (საჭიროებისა მებრ)</p> | <p>შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები</p> | <p>საჭიროებს დონორების მხარდაჭერას</p> <p>საჭიროებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას</p> <p>საჭიროებს ეროვნული ბანკის ჩართულობას</p> |
| 2.6. | <p>მცირე და საშუალო საწარმოთა გრანტებით დაფინანსების გაუმჯობესება</p>  | <p>2.6.1. გრანტების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის გადახედვა მცირე და საშუალო საწარმოთა დაფინანსების პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით</p> <p>2.6.2. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება</p>  | <p>შემსრულებელი: საქართველოს მთავრობა</p> <p>პარტნიორები: ფინანსთა სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების</p> | <p>I კვ. 2016</p> <p>II კვ. 2016</p>  | <p>შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები</p> | <p>საჭიროებს დონორების მხარდაჭერას</p>  |

|  |   |   |   |  |                                |                                 |
|--|---|---|---|--|--------------------------------|---------------------------------|
|  |   |   | სააგენტო  |  |                                |                                 |
| <b>სტრატეგიული მიმართულება 3: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა</b> |   |   |   |  |                                |                                 |
| 3.1.   | შრომის ბაზრის საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასაქმების პროგრამების განვითარება      | 1 შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევის ჩატარება<br>2 სამუშაოს მაძიებელთა უნარების შეფასება<br>3 შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი გადამზადების პროგრამების შემუშავება<br>3.1.1. ქმედების შედეგებზე დაყრდნობით<br>4 სამუშაოს მაძიებელთა გადამზადების მიზნით ტრენინგების ჩატარება  | შემსრულებელი: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>პარტნიორები: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო      | IV კვ 2016 - პერიოდულად<br>დ<br>II კვ 2016 - 2017<br>პერიოდულად<br>II-III კვ 2016 - 2017<br>პერიოდულად<br>IV კვ. 2016 - 2017<br>პერიოდულად | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების დახმარებას  |
| 3.2.   | მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება (Training Needs Assessment - TNA) | 3.2.1. TNA კონცეფციის და შესაბამისი მექანიზმების შემუშავება (კითხვარის ჩათვლით)<br>საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით<br>2 შიდა უნარების განვითარება TNA-ს განხორციელებისთვის<br>3 TNA-ის პილოტური პროექტის განხორციელება სამ პრიორიტეტულ სექტორში<br>4 TNA-ს შედეგების ანალიზი და ინსტრუმენტების გაუმჯობესება<br>5 მეწარმეებისთვის ტრენინგების ჩატარება | შემსრულებელი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო<br><br>პარტნიორი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო  | I კვ. 2016<br><br>I-II კვ. 2016<br><br>III კვ. 2016<br><br>IV კვ. 2016<br><br>I-IV კვ. 2017  | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას |
| 3.3.   | უწყვტილი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვა განათლების სისტემის ყველა დონეზე                | 3.3.1. განათლების სისტემაში LLEL -ის დანერგვის მიზნით უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა<br>3.3.2. საერთაშორისო გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი<br>3.3.3. განათლების LLEL -ის დანერგვისთვის   | შემსრულებელი: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო<br><br>პარტნიორები: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; | II კვ. 2016<br>II-III კვ. 2016<br><br>III-IV კვ. 2016<br><br>IV კვ. 2016 –<br>I კვ. 2017<br>II-IV კვ. 2017                                 | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას |



|      |   |   |   |  |   |                                       |
|------|---|---|---|--|---|---------------------------------------|
|      |   | <p>ნაკლოვანებების და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით კვლევის ჩატარება</p> <p>3.3.4. LLEL-ის განათლების სისტემის ყველა დონეზე დანერგვის მიზნით სამოქმედო გეგმის შემუშავება</p> <p>3.3.5. სამოქმედო გეგმის განხორციელება</p>  | <p>მეწარმეობის განვითარების სააგენტო</p>  |  |   |                                       |
| 3.4. | <p><b>მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება</b></p> | <p>3.4.1 მცირე და საშუალო მეწარმეთა ჩართულობის უზრუნველყოფა პროფესიული განათლების საბჭოში და თემატურ ჯგუფებში (მაკრო დონე)</p> <p>3.4.2. პროფესიულ კვალიფიკაციათა შემუშავება/განვითარებაში მეწარმეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა (მეზო დონე)</p> <p>3.4.3 უნარების შეფასების და პროგნოზირების სისტემის განვითარება მეწარმეთა აქტიური ჩართულობით (მეზო დონე)</p> <p>3.4.4 კარიერის დაგეგმვის და მობილურობის სქემების შემუშავება სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისთვის (მიკრო დონე)</p> <p>5. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კონცეფციის შემუშავება და პილოტირება</p> <p>3.4.6 სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებასთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარება მასწავლებელთათვის და დამსაქმებლებისთვის</p> <p>3.4.7 „პარტნიორობა ცოდნისთვის“ (Knowledge Partnership) ფორუმის განვითარება მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის მიზნით</p> | <p>შემსრულებელი: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p> <p>შემსრულებელი: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p> <p>შემსრულებელი: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p> <p>პარტნიორები: შესაბამისი სამინისტროები; მეწარმეობის განვითარების სააგენტო</p> | <p>I კვ. 2016 მუდმივად</p> <p>IV კვ. 2016 მუდმივად</p> <p>I-II კვ. 2017</p> <p>IV კვ. 2016</p> <p>II-IV კვ. 2016</p> <p>III-IV კვ. 2016</p> <p>I-IV კვ. 2017</p> | <p>შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები</p>                 | <p>საჭიროებს დონორების დახმარებას</p> |
| 3.5. | <p><b>არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა</b></p>                         | <p>3.5.1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისთვის შესაბამისი წესების და მექანიზმების შემუშავება</p>  | <p>შემსრულებელი: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>  | <p>III-IV კვ. 2016</p>   | <p>განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი</p> |                                       |

|      |   |  |   |  |  |   |
|------|---|--|---|--|--|---|
| 3.6  | მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ტექნიკური დახმარების (TA) უზრუნველყოფა                 | <p>3.6.1. ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში</p> <p>3.6.2. პარტნიორებთან თანამშრომლობით ტრენინგ-პროგრამების შემუშავება</p> <p>3.6.3. ექსპორტის მენეჯერების კურსების განხორციელება საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით</p> <p>3.6.4. EFQM – წარმატების მოდელის პოპულარიზაცია</p> | შემსრულებელი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო   | <p>2016-2017</p> <p>2016-2017</p> <p>2016-2017</p> <p>IV კვ. 2016 - 2017</p>         | მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ბიუჯეტი |   |
| 3.7. | საგანმანათლებლო კომპონენტის განვითარების მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე | 3.7.1. საგანმანათლებლო მასალების, ბიზნეს-ლიტერატურის შეგროვება და განთავსება მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე  | შემსრულებელი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო   | I კვ. 2016 პერიოდულად  | მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ბიუჯეტი | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას   |
| 3.8  | მეწარმეების მომსახურების ცენტრის მომსახურებების პორტფელის გაფართოება                    | <p>1. მეწარმეების მომსახურების ცენტრში ღია სივრცის პრინციპის განვითარება</p> <p>2. მეწარმეების სხვადასხვა სერვისებით, მათ შორის, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული სივრცით უზრუნველყოფა; ლექციების და სემინარების ჩატარება</p>   | შემსრულებელი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო   | I-IV კვ. 2016 - 2017   | მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ბიუჯეტი | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას   |
| 3.9  | ქალთა მეწარმეობის წახალისება  | <p>3.9.1. ქალთა მეწარმეობის კუთხით არსებული ნაკლოვანებების შეფასება და საჭიროებათა ანალიზი</p> <p>3.9.2. ქალთა მეწარმეობის წახალისების მექანიზმის განვითარება</p> <p>3.9.3. ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში</p>  | <p>შემსრულებელი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო</p> <p>შემსრულებელი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო</p> <p>შემსრულებლები: მეწარმეობის განვითარების სააგენტო; საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების</p> | <p>III-IV კვ. 2016</p> <p>IV კვ. 2016 – I კვ. 2017</p> <p>I კვ. 2016-IV კვ. 2017</p> | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები             | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას<br><br>3.9.1. და 3.9.2 ქმედებების განხორციელება საჭიროებს ბიზნეს-ასოციაციებთან თანამშრომლობას |

|      |  |   |  |  |                                |                                 |
|------|--|---|--|--|--------------------------------|---------------------------------|
|      |  |   | <p>სააგენტო</p> <p>პარტნიორები:<br/>ეკონომიკისა და მდგრადი<br/>განვითარების<br/>სამინისტრო;<br/>შესაბამისი<br/>სამინისტროები</p>   |  |                                |                                 |
| 3.10 | <p>მცირე და<br/>საშუალო<br/>საწარმოებ<br/>ში „მწვანე<br/>პრაქტიკის<br/>“<br/>წახალისებ<br/>ა</p> | <p>3.10.1. ტრენინგ-პროგრამის შემუშავება რესურსეფექტურ (resource efficiency) და სუფთა წარმოებასთან (clean production) დაკავშირებით</p> <p>3.10.2 მეწარმეებისთვის კონსულტაციების გაწევა გარემოსათვის მისაღებ ქმედებებთან (environmental performance) დაკავშირებით</p> <p>3.10.3. გარემოსდაცვითი მმართველის (მენეჯერის) კურსების განვითარება და განხორციელება (მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით)</p> | <p>შემსრულებელი: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p> <p>შემსრულებელი: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p> <p>შემსრულებელი: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p> <p>პარტნიორი:<br/>სსიპ-გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი</p> | <p>IV კვ 2016 – 2017</p> <p>IV კვ 2016 – 2017</p> <p>II კვ 2016 – 2017</p> | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას |

სტრატეგიული მიმართულება 4 : ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია

|      |   |   |  |  |                                |                                 |
|------|---|---|--|--|--------------------------------|---------------------------------|
| 4.1  | DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება | <p>4.1.1. DCFTA-ს და მისი მოთხოვნების შესახებ მცირე და საშუალო საწარმოთა და ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების ცოდნის დონის ანალიზი</p> <p>4.1.2. ცნობადობის გაზრდის ღონისძიებების და აქტივობების შემუშავება 4.1.1 ანალიზზე დაყრდნობით</p> <p>4.1.3. ცნობადობის გაზრდის ღონისძიებების განხორციელება</p> <p>4.1.4. მეწარმეთათვის ინფორმაციის მიწოდება ხარისხის ეროვნულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით (მეტროლოგია, სტანდარტები, აკრედიტაცია, შესაბამისობის შეფასება)</p> | <p>შემსრულებელი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p> <p>პარტნიორები: სოფლის მეურნეობის სამინისტრო; შესაბამისი სამინისტროები; მეწარმეობის განვითარების სააგენტო; სურსათის ეროვნული სააგენტო</p> <p>სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი (აკრედიტაციის ცენტრი)</p> | <p>I-II კვ. 2016</p> <p>II-III კვ. 2016</p> <p>IV კვ. 2016-IV კვ. 2017</p> <p>I კვ. 2016 - IV კვ. 2017</p>                 | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას |
| 4.2. | მეწარმეობის მხარდაჭერა DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციაში               | <p>3. მცირე და საშუალო საწარმოების ექსპორტის პოტენციალის ანალიზი სექტორულ ჭრილში</p> <p>4. ექსპორტის პოტენციალის მქონე სექტორების იდენტიფიცირება</p> <p>3. DCFTA-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის უთხიხი საჭიროებების განსაზღვრა 4.2.2 ქმედების საფუძველზე</p> <p>4. მხარდაჭერის ინსტრუმენტების შემუშავება (ტექნიკური, ფინანსური)</p> <p>4.2.3. ქმედების შედეგების გათვალისწინებით</p> <p>5. შემუშავებული ღონისძიებების/ინსტრუმენტების განხორციელება</p>                     | <p>კოორდინატორი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p> <p>შემსრულებელი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო</p> <p>პარტნიორები: ფინანსთა სამინისტრო; სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სურსათის ეროვნული სააგენტო; სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; აკრედიტაციის ცენტრი</p>  | <p>II კვ. 2016-2017</p> <p>II-III კვ. 2016</p> <p>III-IV კვ. 2016</p> <p>IV კვ. 2016 – I კვ. 2017</p> <p>I-IV კვ. 2017</p> | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას |

|      |   |   |  |   |                                |                                 |
|------|---|---|--|---|--------------------------------|---------------------------------|
| 4.3  | მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირება                      | <p>6. პროდუქტების მიხედვით პრიორიტეტული საექსპორტო ბაზრების იდენტიფიცირება (მათ შორის, 4.2.2 ქმედების გათვალისწინებით)</p> <p>7. საერთაშორისო ბაზრების კვლევა ბაზრის მოთხოვნასა და პრიორიტეტულ პროდუქტებზე ამ ბაზრების მოთხოვნების, მათ შორის ტექნიკური მოთხოვნების იდენტიფიცირების მიზნით</p> <p>8. მეწარმეებისთვის ინფორმაციის მიწოდება საექსპორტო ბაზრების მოთხოვნებთან (ტექნიკური მოთხოვნების ჩათვლით) დაკავშირებით</p> <p>9. საერთაშორისო ბაზრებზე მარკეტინგის და პოპულარიზაციის მხარდაჭერის მიზნით საწარმოთა შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება და საწარმოთა შერჩევა</p> | <p>შემსრულებელი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო</p> <p>პარტნიორი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; აკრედიტაციის ცენტრი</p> | <p>I კვ. 2016</p> <p>II-III კვ. 2016</p> <p>IV კვ 2016 – IV კვ. 2017</p> <p>I-III კვ. 2016</p>  | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას |
|      |   | <p>10. შერჩეულ საწარმოებში მარკეტინგის უნარების საჭიროებების იდენტიფიცირება</p> <p>11. შერჩეულ საწარმოებში წარმოებული პროდუქტების/სერვისების იდენტიფიცირება საერთაშორისო ბაზრებზე პოპულარიზაციისთვის</p> <p>12. მარკეტინგის/პოპულარიზაციის შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება</p> <p>13. მარკეტინგის/პოპულარიზაციის უნარების გაუმჯობესება შერჩეულ საწარმოებში</p> <p>14. კონკრეტული პროდუქტის/მომსახურების ექსპორტის მხარდაჭერი ინსტრუმენტების განხორციელება 4.3.6 ქმედების გათვალისწინებით</p>   |  | <p>III-IV კვ. 2016</p> <p>III-IV კვ. 2016</p> <p>IV კვ. 2016 – I კვ. 2017</p> <p>I კვ. 2017 - IV კვ. 2017</p> <p>I კვ. 2017 - IV კვ. 2017</p> |                                |                                 |
| 4.4. | მეწარმეობის მხარდაჭერა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში | <p>15. მეწარმეთა შესაძლებლობების ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით (მაგ: ინვესტორთა, სავაჭრო კომპანიები)</p> <p>16. მეწარმეთა დახმარების მიზნით „საგზაო რუკის“ (road map) შემუშავება</p> <p>17. მეწარმეთა დახმარება „საგზაო რუკის“ შესაბამისად</p> <p>18. EEN-ში მეწარმეთა მონაწილეობის ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება</p>   | <p>შემსრულებელი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო</p> <p>პარტნიორები: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; შესაბამისი სამინისტროები და სააგენტოები; საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო</p>      | <p>II კვ. 2016</p> <p>III კვ. 2016</p> <p>IV კვ. 2016 – IV კვ. 2017</p> <p>I კვ. 2016 – IV კვ. 2017</p>                                       | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას |



|      |   |   |  |  |                                       |  |
|------|---|---|--|--|---------------------------------------|--|
| 4.5. | ბიზნესის პასუხისმგებელი კვების (Responsible Business Conduct - RBC) პოპულარიზაცია                             | <p>4.5.1 შესაბამისი ადგილობრივი ორგანიზაციების იდენტიფიცირება, RBC-ს სამეწარმეო სექტორში პოპულარიზაციის მიზნით</p> <p>4.5.2 ადგილობრივი ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლება RBC-სთან დაკავშირებით</p> <p>4.5.3 RBC-ს ხელშეწყობის მექანიზმის შემუშავება</p>  | <p>შემსრულებელი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p> <p>პარტნიორი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო</p>  | <p>II კვ. 2016</p> <p>III-IV კვ. 2016</p> <p>I კვ. 2017</p>  | <p>შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები</p> | <p>საჭიროებს დონორების, მათ შორის, OECD-ის მხარდაჭერას</p> <p>საჭიროებს ადგილობრივი ბიზნეს-ასოციაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას</p> |
|      |   | <p>4.5.4. RBC-ს დანერგვის მიზნით კომპანიების იდენტიფიცირება</p> <p>4.5.5. RBC-ს დანერგვის პოპულარიზაცია და ცნობიერების ამაღლება იდენტიფიცირებულ კომპანიებში</p>   |  | <p>I-II კვ. 2017</p> <p>II-IV კვ. 2017</p>   |                                       |  |
| 4.6. | უცხოელ ინვესტორებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კავშირების დამყარების მხარდაჭერა (FDI-SMEs linkages) | <p>4.6.1 ინფორმაციის შეგროვება პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებზე და პოტენციურ ინვესტორებზე მათ მიერ საქონლის/მომსახურების მოთხოვნასთან დაკავშირებით</p> <p>4.6.2 მცირე და საშუალო კომპანიების იდენტიფიცირება, რომელთაც გააჩნიათ პოტენციური გახდნენ უცხოელი ინვესტორებისთვის პარტნიორები (საქონლის/მომსახურების მიმწოდებლები)</p> <p>4.6.3 იდენტიფიცირებული კომპანიების საჭიროებათა ანალიზი</p> <p>4.6.4 მცირე და საშუალო საწარმოთა FDI-SMEs linkage-ს საპილოტე პროექტის შემუშავება და განხორციელება</p> <p>4.6.5 FDI-SMEs linkage-ს მექანიზმის შემუშავება</p> | <p>კოორდინატორი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p> <p>შემსრულებელი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო</p> <p>პარტნიორი: სსიპ-საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო</p> | <p>III კვ. 2016</p> <p>III-IV კვ. 2016</p> <p>I კვ. 2017</p> <p>II-III კვ. 2017</p> <p>IV კვ. 2017</p> | <p>შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები</p> | <p>საჭიროებს დონორების მხარდაჭერას</p>   |

სტრატეგიული მიმართულება 5: ინოვაციების და კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა

|      |   |  |   |   |                                |   |
|------|---|--|---|---|--------------------------------|---|
| 5.1. | მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება          | <p>19. დედაქალაქსა და რეგიონებში ინოვაციური მეწარმეობის შესახებ ცოდნის ანალიზი</p> <p>20. ინოვაციურ მეწარმეობაზე ცნობადობის გაზრდის ღონისძიებების/აქტივობების შემუშავება 5.1.1 ანალიზის საფუძველზე</p> <p>21. ინოვაციურ მეწარმეობაზე ცნობადობის გაზრდის ღონისძიებების განხორციელება 5.1.2-ს შესაბამისად</p> <p>22. ინოვაციური ბიზნეს-უნარების განვითარებისთვის ტრენინგების უზრუნველყოფა</p> <p>23. ინოვაციების და R&amp;D-ს წამახალისებელი ინსტრუმენტების შემუშავება</p> <p>24. ინოვაციების და R&amp;D-ს წამახალისებელი ინსტრუმენტების განხორციელება</p> | <p>შემსრულებელი: საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო</p> <p>პარტნიორი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p> | <p>II კვ. 2016</p> <p>III კვ. 2016</p> <p>IV კვ. 2016</p> <p>I კვ. 2016 - IV კვ. 2017</p> <p>I კვ. 2017</p> <p>II-IV კვ. 2017</p> | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების (მათ შორის, მსოფლიო ბანკის) მხარდაჭერას |
| 5.2. | ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება | <p>5.2.1 წინადადებების მიღება საგრანტო პროექტებისთვის</p> <p>5.2.2 შერჩეული წინადადებების და პროექტების (მოკლე სია) განხილვა საგრანტო საბჭოზე</p> <p>5.2.3 გამარჯვებული პროექტების დაფინანსება</p>   | <p>შემსრულებელი: საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო</p> <p>პარტნიორი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p> | <p>I კვ. 2016 – IV კვ. 2017</p> <p>II კვ. 2016 – IV კვ. 2017</p> <p>II კვ. 2016 – IV კვ. 2017</p>                                 | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას                             |
| 5.3. | ინოვაციების და R&D-ს კომერციალიზაციის მხარდაჭერა              | <p>1. გამოყენებით კვლევასთან დაკავშირებით სიტუაციური ანალიზი</p> <p>2. ქვეყნის მასშტაბით კვლევის ჩატარება R&amp;D-ის შესაძლებლობის, ადამიანური რესურსის პოტენციალის იდენტიფიცირების მიზნით</p> <p>3. კლასტერული რუკის შედგენა 5.3.2 ქმედების გათვალისწინებით</p> <p>4 R&amp;D-სა და წარმოებას შორის კავშირის ხელშეწყობისთვის მექანიზმის შემუშავება</p> <p>5. გამოყენებითი</p>  | <p>შემსრულებელი: საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო</p> <p>პარტნიორი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p> | <p>I კვ. 2016</p> <p>III კვ. 2016</p> <p>IV კვ. 2016</p> <p>IV კვ. 2016</p> <p>I კვ. 2017</p>                                     | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას                             |

|      |  |   |  |   |                                |                                 |
|------|--|---|--|---|--------------------------------|---------------------------------|
|      |  | კვლევების კომერციალიზაცია ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის საშუალებით  |  |   |                                |                                 |
| 5.4. | მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარების გაუმჯობესება                     | 1. ტრენინგების ჩატარება იდეის პროდუქტად გარდაქმნასთან, ინვესტორებთან კავშირების დამყარებასთან, ინოვაციებისა და ინიციატივების მენეჯმენტთან დაკავშირებით<br>2. ტრენინგების უზრუნველყოფა რეგიონებში შესაძლებლობების და უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად 5.3.2 ქმედების გათვალისწინებით<br>3. ტრენინგთა ტრენინგის ( ToT) პროგრამის განხორციელება ექსპორტზე ორიენტირებული ICT უნარების გაუმჯობესებისთვის | შემსრულებელი: საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო<br><br>პარტნიორი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | I კვ. 2016 – IV კვ. 2017 პერიოდულად   | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას |
| 5.5. | ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (FabLab-ები; iLab-ები; TechPark; BroadBand კომპიუტერიზაციისთვის) | 5.5.1 ტექნოლოგიური პარკის ოპერირების დაწყება<br>1 5.5.2 სამრეწველო ლაბორატორიების (FabLab) პოტენციური ჰოსტების იდენტიფიცირება ქვეყნის მასშტაბით<br>3. 5.5.3 FabLab-ების დაფუძნება<br>5.5.4 FabLab-ებში ტექნიკური და ბიზნეს-ტრენინგების უზრუნველყოფა startup-ებისა და SME-თვის<br>4.<br>5.   | შემსრულებელი: საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო<br><br>პარტნიორი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | I კვ. 2016<br><br>I კვ. 2016<br><br>III კვ. 2016 - IV კვ. 2017<br><br>IV კვ. 2016 - IV კვ. 2017 | შესაბამისი უწყებების ბიუჯეტები | საჭიროებს დონორების მხარდაჭერას |
|      |  | 5.5.5 ოლიმპიადების, მეიქტონების (make-a-thon) და ჰაკატონების (hack-a-thon) ორგანიზება<br>5.5.6 რეგიონების დაფარვა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურ  | შემსრულებელი: ა(ა)იპ “ოუფენ-ნეტ”   | IV კვ. 2016 - IV კვ. 2017<br><br>III-IV კვ. 2016 – 2019   |                                |                                 |

|  |  |    |  |  |  |  |
|--|--|----|--|--|--|--|
|  |  | 00 |  |  |  |  |
|--|--|----|--|--|--|--|